| KENYA | $65,472,228 |
| MOZAMBIQUE | $46,118,029 |
| TANZANIA | $30,960,616 |
| NIGERIA | $29,695,113 |
| MALI | $28,536,379 |
| SOUTH AFRICA | $23,862,322 |
| MALAWI | $18,166,736 |

ფედერალური შესყიდვების მონაცემთა სისტემის ვებ-გვერდზე განთავსებული ფედერალური შესყიდვების ყოველწლიური ანგარიში

6. სხვადასხვა მომსახურებასა და მშენებლობის შესყიდვების რაოდენობა და მათზე გახარჯული თანხები;
7. სხვადასხვა აღჭურვილობების შესყიდვებზე გაწეული ხარჯები - დაკონკრეტებულია მათი ოდენობა და ღირებულება.

## SUPPLIES AND EQUIPMENT - SUMMARY BY PSC GROUP

### Actions Reported - Fiscal Year 2007 through Fourth Quarter

| | | Year to Date | |
|---|---|---|---|
| | | Number of Actions | Dollars |
| TOTAL FEDERAL SUPPLIES AND EQUIPMENT | | 2,748,326 | $191,251,911,921 |
| 10 | WEAPONS | 8,497 | $2,701,791,858 |
| 11 | NUCLEAR ORDNANCE | 175 | $47,934,373 |
| 12 | FIRE CONTROL EQPT. | 2,777 | $1,868,240,414 |
| 13 | AMMUNITION AND EXPLOSIVES | 5,813 | $5,602,380,881 |
| 14 | GUIDED MISSLES | 2,633 | $6,033,441,664 |
| 15 | AIRCRAFT/AIRFRAME STRUCTURE COMPTS | 19,091 | $27,013,045,266 |
| 16 | AIRCRAFT COMPONENTS/ACCESSORIES | 24,404 | $4,682,718,343 |
| 17 | AIRCRAFT LAUNCH/LAND/GROUND HANDLE | 2,350 | $665,009,914 |
| 18 | SPACE VEHICLES | 493 | $2,454,229,144 |
| 19 | SHIPS, SMALL CRAFT, PONTOON, DOCKS | 5,136 | $8,276,174,993 |
| 20 | SHIP AND MARINE EQUIPMENT | 4,587 | $525,294,213 |
| 22 | RAILWAY EQUIPMENT | 180 | $5,063,722 |
| 23 | MOTOR VEHICLES, CYCLES, TRAILERS | 41,641 | $19,772,732,259 |
| 24 | TRACTORS | 930 | $29,871,509 |
| 25 | VEHICULAR EQUIPMENT COMPONENTS | 19,715 | $1,753,343,178 |
| 26 | TIRES AND TUBES | 3,573 | $138,319,466 |
| 28 | ENGINES AND TURBINES AND COMPONENT | 12,699 | $6,115,199,327 |
| 29 | ENGINE ACCESSORIES | 10,732 | $646,958,799 |
| 30 | MECHANICAL POWER TRANSMISSION EQPT | 10,341 | $341,951,726 |
| 31 | BEARINGS | 7,737 | $183,865,448 |
| 32 | WOODWORKING MACHINERY AND EQPT | 2,296 | $7,615,264 |
| 34 | METALWORKING MACHINERY | 6,589 | $292,578,298 |
| 35 | SERVICE AND TRADE EQPT | 4,238 | $114,864,652 |
| 36 | SPECIAL INDUSTRY MACHINERY | 8,624 | $324,412,154 |
| 37 | AGRICULTURAL MACHINERY AND EQPT | 6,729 | $23,808,088 |
| 38 | CONSTRUCT/MINE/EXCAVATE/HIGHWY EQPT | 5,308 | $764,338,657 |
| 39 | MATERIALS HANDLING EQPT | 5,973 | $523,305,540 |

ფედერალური შესყიდვების მონაცემთა სისტემის ვებ-გვერდზე განთავსებული ფედერალური შესყიდვების ყოველწლიური ანგარიში

ვებ-გვერდზე განთავსებულია შესყიდვების შესახებ გეოგრაფიული და სამინისტროების მიხედვით მომზადებული მოხსენებები. პირველის შემთხვევაში დოკუმენტში მოცემულია შესყიდვების ღირებულება რეგიონების მიხედვით. თანხასთან ერთად დაკონკრეტებულია მთლიანი დანახარჯიდან რამდენი პროცენტი მოვიდა ცალკეულ რეგიონზე.

| | Dollars | Percent of Dollars | Dollar Rank | Rank Last FY | Rank Per Capita |
|---|---|---|---|---|---|
| **Total Federal** | **$417,409,930,154** | **100.00 %** | | | |
| ALABAMA | $10,085,214,255 | 2.42 % | 13 | 16 | 9 |
| ALASKA | $2,354,723,968 | 0.56 % | 34 | 36 | 4 |
| ARIZONA | $12,651,613,079 | 3.03 % | 9 | 9 | 7 |
| ARKANSAS | $1,103,477,845 | 0.26 % | 43 | 40 | 51 |
| CALIFORNIA | $47,233,605,181 | 11.32 % | 1 | 1 | 23 |
| COLORADO | $6,454,759,283 | 1.55 % | 25 | 19 | 20 |
| CONNECTICUT | $9,131,628,285 | 2.19 % | 14 | 14 | 6 |
| DELAWARE | $364,112,047 | 0.09 % | 50 | 51 | 50 |
| DISTRICT OF COLUMBIA | $15,705,556,758 | 3.76 % | 5 | 5 | 1 |
| FLORIDA | $14,725,438,855 | 3.53 % | 6 | 6 | 33 |
| GEORGIA | $13,856,732,715 | 3.32 % | 8 | 12 | 15 |
| HAWAII | $2,296,763,633 | 0.55 % | 35 | 35 | 11 |
| IDAHO | $2,099,740,756 | 0.50 % | 36 | 38 | 18 |
| ILLINOIS | $8,193,696,809 | 1.96 % | 17 | 23 | 41 |
| INDIANA | $6,388,954,641 | 1.53 % | 26 | 26 | 28 |
| IOWA | $1,744,081,272 | 0.42 % | 39 | 37 | 42 |
| KANSAS | $3,023,498,808 | 0.72 % | 31 | 32 | 27 |
| KENTUCKY | $6,776,545,413 | 1.62 % | 23 | 24 | 16 |
| LOUISIANA | $4,622,677,969 | 1.11 % | 27 | 13 | 29 |
| MAINE | $1,572,860,029 | 0.38 % | 41 | 42 | 25 |
| MARYLAND | $21,406,162,521 | 5.13 % | 4 | 4 | 3 |
| MASSACHUSETTS | $11,931,430,555 | 2.86 % | 11 | 10 | 12 |
| MICHIGAN | $7,269,081,914 | 1.74 % | 20 | 25 | 37 |
| MINNESOTA | $2,808,203,971 | 0.67 % | 32 | 33 | 45 |
| MISSISSIPPI | $6,791,807,748 | 1.63 % | 21 | 21 | 8 |
| MISSOURI | $12,141,724,444 | 2.91 % | 10 | 8 | 10 |
| MONTANA | $519,540,535 | 0.12 % | 49 | 48 | 43 |
| NEBRASKA | $918,942,942 | 0.22 % | 44 | 44 | 48 |
| NEVADA | $2,053,565,901 | 0.49 % | 37 | 34 | 30 |

ფედერალური შესყიდვების მონაცემთა სისტემის ვებ-გვერდზე განთავსებული ფედერალური შესყიდვების წლიური ანგარიში რეგიონების მიხედვით

ამასთან ერთად, ნაჩვენებია კონკრეტული რეგიონების შემთხვევაში იქ მცხოვრები მოსახლეობის რაოდენობა, ერთ სულ მოსახლეზე მოსული შესყიდვების ღირებულება, შესყიდვების რაოდენობა და მთლიანი ღირებულება და სხვა რეგიონებთან შედარებით, ერთ სულ მოსახლეზე მოსული შესყიდვების ოდენობის მიხედვით რეგიონის კოეფიციენტი. აქვე დაკონკრეტებულია შესყიდვების ტიპი, სააგენტოების/სამინისტროების ვინაობა.

| | | | |
|---|---|---|---|
| **Population:** | **4,447,100** | **Total Actions:** | **53,648** |
| **Per Capita Procurement:** | **$2,267.82** | **Total Dollars:** | **$10,085,214,255** |
| **Rank Per Capita:** | **9** | **Rank Per Capita - Last Year:** | **11** |

| TOP FIVE COUNTIES | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | CIVILIAN AGENCIES | | DEPT OF DEFENSE | | |
| NAME OF COUNTIES | SMALL DISADVANTAGED | OTHER | SMALL DISADVANTAGED | OTHER | TOTAL |
| MADISON | $30,510,904 | $697,671,916 | $831,406,613 | $4,922,189,565 | $6,481,778,998 |
| MOBILE | $3,834,057 | $20,916,765 | $12,791,794 | $1,297,691,277 | $1,335,233,893 |
| CALHOUN | $945,528 | $39,761,487 | $62,250,229 | $485,771,092 | $588,728,337 |
| DALE | $561,912 | $30,363,060 | $23,791,200 | $306,649,871 | $361,366,044 |
| MONTGOMERY | $2,123,131 | $43,511,372 | $34,293,367 | $233,386,059 | $313,313,929 |

| TOP FIVE DEPARTMENTS WITH PLACE OF PERFORMANCE IN THIS STATE | TOTAL |
|---|---|
| DEPT OF DEFENSE (9700) | $8,703,065,536 |
| NATIONAL AERONAUTICS AND SPACE ADMINISTRATION (8000) | $728,985,032 |
| HEALTH AND HUMAN SERVICES, DEPARTMENT OF (7500) | $155,535,217 |
| GENERAL SERVICES ADMINISTRATION (4700) | $140,653,679 |
| VETERANS AFFAIRS, DEPARTMENT OF (3600) | $128,192,828 |

| TOP FIVE CONTRACTING OFFICES LOCATED IN THIS STATE | TOTAL |
|---|---|
| DEPARTMENT OF DEFENSE (HQ0006) | $2,135,204,694 |
| W0H9 US ARMY AVN & MISSLES CMD (W31P4Q) | $1,564,067,197 |
| DEFENSE ENERGY SUPPORT CENTER (SP0600) | $1,363,050,707 |
| USASMDC HUNTSVILLE (W9113M) | $880,634,019 |
| MARSHALL SPACE FLIGHT CENTER (MSFC0) | $720,347,169 |

| TYPE OF PRODUCT OR SERVICE | SMALL BUSINESS | OTHER THAN SMALL BUSINESS | STATE LOCAL & TRIBAL GOV'T | NON-PROFIT JWOD & OTHER | TOTAL |
|---|---|---|---|---|---|
| CONSTRUCTION | $238,307,625 | $66,007,775 | $22,925 | $260,559 | $304,598,884 |
| RESEARCH AND DEVELOPMENT | $486,824,644 | $3,018,982,481 | $42,400 | $57,191,720 | $3,563,041,245 |
| SERVICES | $1,016,992,764 | $1,767,227,087 | $4,924,829 | $59,372,764 | $2,848,517,445 |
| SUPPLIES & EQUIPMENT | $1,016,230,273 | $2,274,000,134 | $9,219 | $25,355,076 | $3,315,594,702 |

ფედერალური შესყიდვების მონაცემთა სისტემის ვებ-გვერდზე განთავსებული ფედერალური შესყიდვების წლიური ანგარიში რეგიონების მიხედვით

სააგენტოების შემთხვევაში კი მოცემულია სხვადასხვა ტიპის კონტრაქტებსა და შესყიდვებზე გახარჯული თანხა. აღნიშნული ცნობები ნაჩვენებია ყველა საჯარო უწყების შესახებ.

## AGENCY FOR INTERNATIONAL DEVELOPMENT

| Contract Type | Actions | Dollars |
|---|---|---|
| Delivery/Task Order against IDV | 657 | $1,771,922,759 |
| Definitive Contract | 4,173 | $1,479,720,919 |
| Delivery/Task Order against GSA FSS | 195 | $237,975,183 |
| Purchase Order | 3,656 | $43,513,960 |
| BPA Call | 94 | $16,961,662 |
| **Total** | **8,775** | **$3,550,094,483** |

| Modifications | Actions | Dollars |
|---|---|---|
| Modifications | 3,586 | $2,860,399,307 |
| **Total** | **3,586** | **$2,860,399,307** |

| Letter Contracts | Actions | Dollars |
|---|---|---|
| Letter Contract | 18 | $3,766,299 |
| **Total** | **18** | **$3,766,299** |

| Terminations | Actions | Dollars |
|---|---|---|
| Terminations | 53 | $12,539,532 |
| **Total** | **53** | **$12,539,532** |

| Awards Funded By Other Department | Actions | Dollars |
|---|---|---|
| Awards Funded By Other Department | 0 | $0 |
| **Total** | **0** | **$0** |

ფედერალური შესყიდვების მონაცემთა სისტემის ვებ-გვერდზე განთავსებული ფედერალური შესყიდვების წლიური ანგარიშები სააგენტოების მიხედვით

ვებ-გვერდზე, სხვა ანგარიშებთან ერთად, ვხვდებით ფედერალურ დონეზე 100 ყველაზე მსხვილი კონტრაქტორის შესახებ დეტალურ ინფორმაციას.

| | A | B | C | D | E |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | Global Vendor Name | Number Of Actions | Dollars Obligated | %Total Actions | % Total Dollars |
| 2 | LOCKHEED MARTIN CORPORATION | 23 477 | 42 446 866 959,53 | 0,1418% | 7,9960% |
| 3 | THE BOEING COMPANY | 17 148 | 21 599 245 643,25 | 0,1036% | 4,0688% |
| 4 | GENERAL DYNAMICS CORPORATION | 18 326 | 19 442 764 028,59 | 0,1107% | 3,6626% |
| 5 | NORTHROP GRUMMAN CORPORATION | 15 867 | 15 020 080 455,00 | 0,0959% | 2,8294% |
| 6 | RAYTHEON COMPANY | 11 872 | 14 771 086 834,84 | 0,0717% | 2,7825% |
| 7 | UNITED TECHNOLOGIES CORPORATION | 15 336 | 7 908 114 454,95 | 0,0926% | 1,4897% |
| 8 | SAIC INC. | 25 451 | 7 378 984 631,81 | 0,1538% | 1,3900% |
| 9 | L-3 COMMUNICATIONS HOLDINGS INC. | 15 240 | 7 357 742 515,71 | 0,0921% | 1,3860% |
| 10 | BAE SYSTEMS PLC | 13 802 | 6 876 349 891,22 | 0,0834% | 1,2954% |
| 11 | OSHKOSH CORPORATION | 4 658 | 4 942 070 285,97 | 0,0281% | 0,9310% |
| 12 | MCKESSON CORPORATION | 58 784 | 4 706 074 199,76 | 0,3551% | 0,8865% |
| 13 | COMPUTER SCIENCES CORPORATION | 5 938 | 4 508 806 684,37 | 0,0359% | 0,8494% |
| 14 | BECHTEL GROUP INC. | 286 | 4 498 784 380,16 | 0,0017% | 0,8475% |
| 15 | URS CORPORATION | 5 879 | 4 408 521 876,54 | 0,0355% | 0,8305% |
| 16 | HUNTINGTON INGALLS INDUSTRIES INC. | 3 855 | 4 039 859 714,67 | 0,0233% | 0,7610% |
| 17 | BOOZ ALLEN HAMILTON HOLDING CORPORATION | 9 234 | 3 934 916 899,60 | 0,0558% | 0,7413% |
| 18 | ITT CORPORATION | 4 286 | 3 862 570 373,17 | 0,0259% | 0,7276% |
| 19 | VERITAS CAPITAL FUND II L.P. THE | 973 | 3 843 256 690,87 | 0,0059% | 0,7240% |
| 20 | HUMANA INC. | 586 | 3 445 346 245,92 | 0,0035% | 0,6490% |
| 21 | HEALTH NET INC. | 382 | 3 145 318 720,85 | 0,0023% | 0,5925% |
| 22 | TRIWEST HEALTHCARE ALLIANCE CORP. | 227 | 3 093 464 842,27 | 0,0014% | 0,5827% |
| 23 | HEWLETT-PACKARD COMPANY | 20 880 | 2 942 364 958,09 | 0,1261% | 0,5543% |
| 24 | GENERAL ELECTRIC COMPANY | 9 233 | 2 847 482 485,43 | 0,0558% | 0,5364% |
| 25 | FLUOR CORPORATION | 688 | 2 774 277 927,99 | 0,0042% | 0,5226% |
| 26 | BELL BOEING JOINT PROJECT OFFICE | 1 586 | 2 665 731 454,92 | 0,0096% | 0,5022% |
| 27 | CACI INTERNATIONAL INC | 4 659 | 2 615 272 987,54 | 0,0281% | 0,4927% |
| 28 | TEXTRON INC. | 5 358 | 2 514 587 565,20 | 0,0324% | 0,4737% |
| 29 | LOS ALAMOS NATIONAL SECURITY LLC | 26 | 2 504 962 182,54 | 0,0002% | 0,4719% |
| 30 | KBR INC. | 633 | 2 277 007 732,81 | 0,0038% | 0,4289% |
| 31 | HONEYWELL INTERNATIONAL INC. | 9 640 | 2 193 177 643,11 | 0,0582% | 0,4131% |
| 32 | BATTELLE MEMORIAL INSTITUTE INC | 2 395 | 2 148 856 165,01 | 0,0145% | 0,4048% |

ფედერალური შესყიდვების მონაცემთა სისტემის ვებ-გვერდზე გამორჩეული 100 კონტრაქტორის შესახებ ყოველწლიური ანგარიში

წარმოდგენილია აგრეთვე მონაცემები სხვადასხვა საზოგადოებრივ სექტორში წამყვანი კომპანიების მიერ განხორციელებული შესყიდვების შესახებ.

| Global Vendor Name | Number Of Actions | Dollars Obligated | %Total Actions | % Total Dollars |
|---|---|---|---|---|
| MANAGEMENT & TRAINING CORPORATION | 19 | 340 132 904,83 | 0,0142% | 4,8010% |
| CORRECTIONS CORPORATION OF AMERICA | 78 | 333 314 807,28 | 0,0581% | 4,7048% |
| THE GEO GROUP INC | 156 | 327 476 137,36 | 0,1163% | 4,6224% |
| AKAL SECURITY INC | 1 066 | 249 876 468,94 | 0,7944% | 3,5270% |
| LOCKHEED MARTIN CORPORATION | 325 | 169 412 121,87 | 0,2422% | 2,3913% |
| FORFEITURE SUPPORT ASSOCIATES LLC | 1 817 | 165 522 632,37 | 1,3541% | 2,3364% |
| COUNTY OF REEVES | 9 | 149 161 816,79 | 0,0067% | 2,1054% |
| INTERNATIONAL BUSINESS MACHINES CORPORATION | 155 | 108 979 218,91 | 0,1155% | 1,5383% |
| MOTOROLA INC | 345 | 105 507 624,68 | 0,2571% | 1,4893% |
| BEARINGPOINT, INC. | 38 | 102 599 207,98 | 0,0283% | 1,4482% |
| TYCO INTERNATIONAL LTD. | 2 779 | 99 612 678,12 | 2,0710% | 1,4060% |
| WORLD WIDE TECHNOLOGY HOLDING CO. INC. | 228 | 97 502 439,78 | 0,1699% | 1,3763% |
| COMMUNITY EDUCATION CENTERS INC. | 21 | 91 274 972,15 | 0,0156% | 1,2884% |
| CACI INTERNATIONAL INC | 459 | 90 796 768,69 | 0,3421% | 1,2816% |
| HEWLETT-PACKARD COMPANY | 155 | 88 691 909,96 | 0,1155% | 1,2519% |
| VERIZON COMMUNICATIONS INC. | 2 216 | 78 634 756,11 | 1,6514% | 1,1099% |
| CDW HOLDINGS LLC | 243 | 78 445 644,19 | 0,1811% | 1,1073% |
| PRUDENTIAL FINANCIAL INC. | 52 | 75 845 358,39 | 0,0388% | 1,0706% |
| BOOZ ALLEN HAMILTON HOLDING CORPORATION | 158 | 73 320 216,46 | 0,1177% | 1,0349% |
| KEANE INTERNATIONAL INC. | 157 | 71 431 350,48 | 0,1170% | 1,0083% |
| L-3 COMMUNICATIONS HOLDINGS INC. | 250 | 71 396 207,80 | 0,1863% | 1,0078% |
| MCKESSON CORPORATION | 10 390 | 71 101 738,58 | 7,7429% | 1,0036% |
| NAPHCARE INC. | 2 064 | 59 496 730,49 | 1,5382% | 0,8398% |
| ALTEGRITY INC. | 418 | 57 500 905,33 | 0,3115% | 0,8116% |
| INTER-CON SECURITY SYSTEMS INC. | 184 | 52 964 868,21 | 0,1371% | 0,7476% |
| M V M INC. | 1 699 | 52 808 010,72 | 1,2661% | 0,7454% |
| KRUEGER INTERNATIONAL INC. | 1 850 | 52 258 192,06 | 1,3787% | 0,7376% |
| NANA REGIONAL CORPORATION INC. | 156 | 49 807 569,81 | 0,1163% | 0,7030% |
| MANTECH INTERNATIONAL CORPORATION | 35 | 46 656 097,11 | 0,0261% | 0,6586% |

Federal | Agriculture (1200) | Commerce (1300) | Interior (1400) | Justice (1500) | Labor (1600) | NAVY(1700) | State (1900) | Treasury ( 2000) | Army (2100) | Veteran Affairs (3600) | GSA (4700)

**ფედერალური შესყიდვების მონაცემთა სისტემა - 100 ყველაზე მსხვილი კონტრაქტორის შესახებ ყოველწლიური ანგარიში**

აუცილებლად უნდა გაესვას ხაზი იმ ფაქტს, რომ საქართველოს კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემა - (https://tenders.procurement.gov.ge) - ინფორმაციის ხელმისაწვდომობის კუთხით ერთ-ერთი ყველაზე სრულყოფილი და ინოვაციურია მსოფლიოში, რასაც ადასტურებს გაეროს მიერ ორგანიზებულ საჯარო სამსახურის ყველაზე პრესტიჟულ, ყოველწლიურ კონკურსში, ნომინაციაში: „საჯარო სამსახურში კორუფციის პრევენცია და კორუფციასთან ბრძოლა“ ელექტრონული სისტემის გაიმარჯვება. მიუხედავად საერთაშორისო აღიარებისა, ვფიქრობთ საჯარო დოკუმენტებზე არსებული ლიმიტირებული დაშვება გარკვეულწილად აფერხებს საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის ხარისხს.

კერძოდ, სამწუხაროდ, მხოლოდ სისტემაში ავტორიზირებულ მომხმარებელს აქვს წვდომა ისეთ მნიშვნელოვან დოკუმენტებზე, როგორიც არის საჯარო დაწესებულებების შესყიდვების გეგმები და საჯარო დაწესებულებების შესყიდვების კვარტალური ანგარიშები.




სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემა - საჯარო დაწესებულების შესყიდვის გეგმები




სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემა - საჯარო დაწესებულების შესყიდვების ანგარიშები

ამავე დროს, სისტემაში არსებული დოკუმენტები და ანგარიშები განთავსებულია

მხოლოდ PDF ფორმატში, რაც მნიშვნელოვნად ზღუდავს ბიზნეს ანალიტიკით თუ საჯარო ინფორმაციის დამუშავებით დაინტერესებულ პირთა შესაძლებლობას მოახდინონ სხვადასხვა მონაცემების სორტირება, შედარება, განზოგადება და ა.შ.



| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | დანართი № 1 | |
| | 25 | მაისი | 2012 წელი | შემსყიდველი ორგანიზაციის საიდენტიფიკაციო კოდი | | | |
| შევსების თარიღი | | | | 203,836,322 | | | |
| საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო | | | | სახელმწიფო ბიუჯეტი | | | |
| შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება | | | | დაფინანსების წყარო | | | |
| სახელმწიფო შესყიდვების გეგმით გათვალისწინებული ჯამური თანხა დაფინანსების წყაროს შესაბამისად | | | | 1,506,311 | | | |
| № | დანაყოფის კოდი | დანაყოფის დასახელება CPV კოდებით | სავარაუდო ღირებულება | შესყიდვის საშუალება | შესყიდვების დაწყების სავარაუდო ვადები | შესყიდვის ობიექტის მიწოდების სავარაუდო ვადა | შენიშვნა |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 |
| 1 | 18100000 | სამუშაო ტანსაცმელი, სპეცტანსაცმელი და აქსესუარები | 50.00 | გშ | I-IV კვარტალი | I-IV კვარტალი | |
| 2 | 19500000 | რეზინისა და პლასტმასის მასალები | 1000.00 | გშ | I-IV კვარტალი | I-IV კვარტალი | |
| 3 | 19600000 | ტყავის, ტექსტილის, რეზინისა და პლასტმასის ნარჩენი | 2500.00 | გშ | I-IV კვარტალი | I-IV კვარტალი | |
| 4 | 22100000 | ნაბეჭდი წიგნები, ბროშურები და საინფორმაციო ფურცლები | 1,500.00 | გშ | I-IV კვარტალი | I-IV კვარტალი | |
| 5 | 22200000 | გაზეთები, სამეცნიერო ჟურნალები, პერიოდიკა და ჟურნალები | 3,917.24 | გშ | I კვარტალი | I-IV კვარტალი | |
| 6 | 22400000 | მარკები, ჩეკების ფორმები, საკრედიტო ბილეთები, საქციო სერთიფიკატები, ვაჭრობის სარეკლამო მასალა, კატალოგები და სახელმძღვანელოები | 5000.00 | გშ | I-II კვარტალი | I-IV კვარტალი | |
| 6 | 22400000 | მარკები, ჩეკების ფორმები, საკრედიტო ბილეთები, საქციო სერთიფიკატები, ვაჭრობის სარეკლამო მასალა, კატალოგები და სახელმძღვანელოები | 63000.00 | გეტ | I-II კვარტალი | I-IV კვარტალი | |

სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემა - საჯარო დაწესებულების შესყიდვების ანგარიში PDF ფორმატში

ინფორმაციის ხელმისაწვდომი ფორმატი, მათ შორის ციფრულად წაკითხვადი ფორმატი, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი თანამედროვე ტრენდია. მაგალითისთვის გამოდგება ისევ ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური შესყიდვების მონაცემთა სისტემა. შესყიდვების სისტემის ელექტრონულ რესურსზე განთავსებულია შესყიდვების შესახებ არსებული მონაცემების ყოველკვარტალურად განახლებადი XML (Extensible Markup Language) არქივი.



The XML Archives contain raw data. The archives are intended for use by users who have a great deal of experience with procurement data, XML technology, and large volumes of data. Use of the archive data without a complete understanding of the business processes, rules and regulations, and system information increases the risk of flawed analysis.

Organization linkage Information is not provided in this archive in order to honor the Federal Government's licensing agreement with Dun & Bradstreet. If you need to discuss the availability of this linkage data, please contact Dun & Bradstreet Government Solutions directly at 800-424-2495.

**Important Note**: All XML archive files are stored in a compressed zip file format. We recommend users of the XML archives files use the WinRar utility to decompress the XML file archives. If you do not have this recommended utility, you can download the utility from: http://www.win-rar.com/download.html.

The archive contains procurement data as well as additional NASA data (for example, financial assistance actions). The NASA data is not available through standard reports in FPDS-NG.

Individuals using archive data agree by virtue of downloading this information that they will not misrepresent the data provided. Misrepresentation of the data includes both intentional and accidental omission of rules, processes, exclusions or other guidance that is used to generate legitimate information. A few examples of misrepresenting data include creating a report that purports to show socio-economic information but which contains none of the requisite Small Business Administration rules and exclusions or identifying a vendor as being small or large without benefit of the business process and rules regading size deterimination, vendor representations, vendor certifications, etc.

**Upcoming Refresh Schedule**

The Fiscal Year 2012 and 2011 XML Archives will be refreshed by last friday of every quarter. Click Here for detail dates. **The Legacy data (Fiscal Year 2004 – 2010) is refreshed yearly and next refresh is scheduled for November 2012 in Version 1.4 format. More timely information can be obtained using the FPDS ATOM feeds. Click Demo for more information on ATOM feeds.**

NOTE: XML conversion utility will not be supported for Version 1.4.

0300-LIBRARYOFCONGRESS
0500-GENERALACCOUNTINGOFFICE
1100-EXECUTIVEOFFICEOFTHEPRESIDENT
1145-PEACECORPS
1153-UNITEDSTATESTRADEANDDEVELOPMENTAGENCY
1200-AGRICULTUREDEPARTMENTOF
1300-COMMERCEDEPARTMENTOF

აშშ-ის ფედერალური შესყიდვების მონაცემთა სისტემა - მონაცემების არქივი

ამგვარი ფორმატით ატვირთული მონაცემების გადმოწერის შემდეგ შესაძლებელია ინფორმაციის კონვერტირება მაგ. html ან excell ფორმატში, აგრეთვე access მონაცემთა ბაზებში.

## რეკომენდაციები

ერთი მხრივ, ქართულ რეალობაში არსებული გამოწვევებისა და შესყიდვების სააგენტოს ოფიციალური ვებ-გვერდის კვლევით და მეორე მხრივ, შერჩეული უცხოური მაგალითების საუკეთესო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე შეიქმნა სარეკომენდაციო პაკეტი დასახელებული ქართული უწყებისთვის. აღნიშნული სარეკომენდაციო წინადადებები მიზნად ისახავს ქართული საჯარო სივრცის ანგარიშვალდებულების დონის გაზრდას ელექტრონული გამჭვირვალობის პრაქტიკული დანერგვის გზით.

აღნიშნული წინადადებებისა და რეკომენდაციების ეტაპობრივი იმპლემენტაცია კიდევ უფრო გააუმჯობესებს შესყიდვების სააგენტოს საქმიანობის გამჭვირვალობის ხარისხს მისი ვებ-გვერდის დახვეწის თვალსაზრისით. ასევე, შესაძლებელი გახდება მის ოფიციალურ ელექტრონულ პორტალზე უკვე განვითარებული სერვისების დახვეწა და ინოვაციური ელექტრონული მომსახურებების განვითარება.

- <u>საჯარო დაწესებულების ფუნქციების აღწერა:</u> სასურველია შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე განყოფილებაში „ჩვენ შესახებ“ წარმოდგენილი იყოს დეტალური ინფორმაცია უწყების ფუნქციების შესახებ, რაც მოიცავს ცნობებს სამთავრობო დაწესებულების მისიის, მიზნებისა და უფლებამოსილებების შესახებ. აღნიშნული კომპონენტი მოქალაქეებს შეუქმნის წარმოდგენას უწყების საქმიანობისა და უფლებამოსილებების შესახებ.

- <u>საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელის შესახებ ინფორმაცია:</u> სასურველია სამთავრობო დაწესებულების ოფიციალურ ვებ-გვერდზე მისი ხელმძღვანელის ბიოგრაფიულ მონაცემებთან ერთად, არსებობდეს მისი კომპეტენციის, უფლებამოსილების, განცხადებების, მოხსენებების შესახებ ცნობები. ასევე, მნიშვნელოვანია განთავსებული იყოს მის საქმიანობასთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის პუბლიკაციები, დოკუმენტები, მემორანდუმები, მიმართვები, საჯარო გამოსვლების ტექსტები.

- <u>საჯარო დაწესებულების სტრუქტურა:</u> ვებ-გვერდზე სასურველია არსებობდეს სამინისტროს უკლებლივ ყველა სტრუქტურული ქვედანაყოფისა და მისი შიდა სტრუქტურული ერთეულის დასახელება და მათი საქმიანობების აღწერა, რაც უფრო თვალნათლივს გახდის სამინისტროს შიდასტრუქტურულ და ფუნქციონალურ იერარქიას. ასევე, თითოეული სტრუქტურული ერთეულის განყოფილებაში სასურველია მოიძებნებოდეს მათ საქმიანობასთან დაკავშირებული სამართლებრივი დოკუმენტები, კომპეტენცია, საქმიანობის აღწერა და სხვა დამატებითი ინფორმაცია.

- <u>საჯარო დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების შესახებ ინფორმაცია:</u> შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე სასურველია გამოქვეყნებული იყოს სამინისტროს ყველა სტრუქტურული ქვედანაყოფისა და მისი შიდა სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის ან მისი მოადგილის საკონტაქტო რეკვიზიტები: სამუშაო ელ-ფოსტა, მისაღების ტელეფონისა და ფაქსის ნომრები. სასურველია ხელმისაწვდომი იყოს სხვა თანამშრომლების საკონტაქტო ინფორმაციაც.

- <u>საჯარო დაწესებულების სტრატეგიული გეგმა:</u> საჯარო დაწესებულების მიერ დასახული მიზნებისა და ამოცანების შესაფასებლად, სასურველია მის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსებული იყოს უწყების სტრატეგიული გეგმა, რომელშიც განსაზღვრული იქნება რამდენიმე წლის განმავლობაში სამთავრობო უწყების:
  - ძირითადი მიზნები;
  - მიზნების შესასრულებლად დაგეგმილი ღონისძიებები;
  - უწყების წინაშე არსებული გამოწვევები;
  - მომავალში დაგეგმილი პროგრამებისა და პროექტების აღწერა - **დაგეგმილი პროგრამების/პროექტების სახელწოდება, მათი მიზნები, თავად პროგრამის სტატუსი (მაგალითად: „მიმდინარე“), მათი დასრულებისა და ანგარიშის წარდგენის საბოლოო ვადა, მათზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულის სახელწოდება**;
  - დაგეგმილი პროგრამებისა და პროექტების განხორციელებისთვის საჭირო თანხის ოდენობა;
  - დაგეგმილი პროგრამებისა და პროექტების შესრულების ეფექტურობის გაზომვის მაჩვენებლები/ინდიკატორები.

აღნიშნული დოკუმენტის შინაარსობრივ მხარესთან ერთად გასათვალისწინებელია ვებ-გვერდზე მისი განთავსების ფორმაც. სასურველია იგი ქვესათაურების მიხედვით, გაშლილი ფორმით იყოს ატვირთული, მათ შორის HTML ფორმატით და დაინტერესებულმა პირმა მისთვის სასურველი ქვეთავის გაცნობა მთლიანი დოკუმენტის ჩამოტვირთვის გარეშე შეძლოს.

- <u>საჯარო დაწესებულების წლიური ანგარიში:</u> საჯარო დაწესებულების განვლილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობისთვის ვებ-გვერდზე უნდა განთავსდეს უწყების წლიური ანგარიშები, სადაც შეფასებული იქნება ზოგადი საქმიანობის, პროექტებისა თუ ინიციატივების განხორციელება. აუცილებელია ანგარიშებში შეფასებული იყოს პროექტების ეფექტურობა და მათი აღსრულების ხარისხი. ამასთან ერთად, მნიშვნელოვანია არსებობდეს ინფორმაცია უწყების ბიუჯეტის შესრულების, აქტივების და პასივების, სხვადასხვა ტიპის დანახარჯების, როგორიცაა ასიგნებები, გადარიცხვები, შესახებ. ანგარიშმა უნდა მოიცვას რიგი დეტალები:
    - საჯარო უწყების პრიორიტეტები;
    - საჯარო უწყების მისია, ფასეულობები და მიზნები;
    - მიმდინარე წლის გეგმები/ამოცანები;
    - მიზნის მიღწევის ინდიკატორები;
    - მთელი წლის განმავლობაში განხორციელებული პროექტების როგორც სტატისტიკური მონაცემები, ასევე ნარატიული ახსნა - წინასწარ განსაზღვრული ინდიკატორების საფუძველზე შეფასდეს მათი ეფექტურობა. დაკონკრეტებული უნდა იყოს თითოეულ განხორციელებულ პროექტზე დახარჯული თანხა;
    - საჯარო უწყების კომპეტენციის ფარგლებში გატარებული ზომები და მათი პრაქტიკაში დანერგვის ეფექტურობის შეფასება;
    - ცალკეული პროექტების დაფინანსების წყაროები, უწყების კონკრეტულ მიზნებზე დახარჯული თანხების ოდენობა;
    - ბოლო ორი წლის მონაცემების შედარება და მსგავსი ტიპის დანახარჯებზე არსებული ცვლილებების ტენდენციები და მიზეზები;
    - დასახული გეგმების შესრულების პროცენტული შეფასება.

საერთაშორისო პრაქტიკიდან გამომდინარე, საგულისხმოა, დამოუკიდებელი აუდიტორების მიერ წლიური ანგარიშის შეფასებების, ფინანსურ ბალანსში არსებული შეცდომების გამოვლენის, რეკომენდაციების შემუშავების ტრადიცია და შემდგომ მათი პროაქტიული გამოქვეყნება. სასურველია მსგავსი პრაქტიკის

საქართველოს საჯარო სივრცეში დანერგვა. ეს უზრუნველყოფს სამოქალაქო, საექსპერტო და არასამთავრობო სექტორის ჩართვას უწყებების საქმიანობის შეფასებაში.

- <u>საჯარო დაწესებულების ბიუჯეტი:</u> საჯარო დაწესებულების გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია მის ოფიციალურ ვებ-გვერდზე ფინანსური ოპერაციებისა და ბიუჯეტის შესრულების ანგარიშების განთავსება. აღნიშნულ დოკუმენტში დასახელებული უნდა იყოს ყველა ის პროექტი, ღონისძიება, რომელიც განხორციელდა, მიმდინარეობს ან დაგეგმილია. დაკონკრეტებული უნდა იყოს მათ აღსრულებაზე გაწეული ყველა სახის (ადმინისტრაციული, საშტატო და ა.შ) ფინანსური ხარჯები, ფინანსური ვალდებულებები, სხვადასხვა ოპერაციებიდან მიღებული შემოსავლები. შეჯამებული უნდა იყოს მიმდინარე ინიციატივები და მათი შესრულების ანგარიშები. საგულისხმოა ანგარიშში საბიუჯეტო ბალანსის, სხვადასხვა მომსახურებაზე დახარჯული თანხების ზუსტი ოდენობის არსებობის აუცილებლობა. მნიშვნელოვანია, ასევე, დოკუმენტში აღწერილი იყოს საბიუჯეტო რესურსებიც. სასურველია, სტატისტიკურ და რიცხობრივ მონაცემებთან ერთად, ანგარიშში მოცემული იყოს ფინანსური ოპერაციების ნარატიული განმარტებებიც.

  მნიშვნელოვანია, ასევე, რამდენიმე სახის ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება:
  - მოულოდნელი ვალდებულებებით ბიუჯეტში შეტანილი ცვლილებები და აღნიშნული აქტივობებისთვის გამოყოფილი თანხების წყაროები;
  - ინფორმაცია სამინისტროს უძრავი ქონების ბალანსის შესახებ;
  - თავდაპირველად მოთხოვნილი და საბოლოოდ დამტკიცებული ასიგნებების ოდენობა;
  - კონკრეტული მიმართულებებისა და დასახული მიზნების მიხედვით, სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამისთვის გამიზნული თანხები, დანახარჯების განაწილების მიზნობრიობა.

მნიშვნელოვანია შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსებული იყოს საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენილი ბიუჯეტის პროექტი და მისი შესრულების გეგმა. ამასთან ერთად, სასურველია თანდართული იყოს საბიუჯეტო პროექტთან დაკავშირებით შემუშავებული რეკომენდაციები და კომენტარები.

- <u>საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა/ღია მმართველობა:</u> საჯარო დაწესებულების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების თანამედროვე ინდიკატორი მის ოფიციალურ ვებ-გვერდზე პროაქტიულად გამოქვეყნებული საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებული ცნობებია. სასურველია, შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდებზე შეიქმნას ღია მმართველობასთან დაკავშირებული განცალკევებული გვერდები. სადაც უნდა განთავსდეს:

    - საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის პროცედურებთან დაკავშირებული დაწვრილებითი ცნობები;
    - ინფორმაციის თავისუფლების გზამკვლევი, რომელშიც აღწერილი იქნება ინფორმაციის მოთხოვნის ძირითადი პროცედურები, ვადები, მოსაკრებლის ოდენობა, ადმინისტრაციული საჩივრებით მიმართვის წესები, საჯარო ინფორმაციაზე პასუხისმგებელი პირის საკონტაქტო რეკვიზიტები და სხვა ინფორმაცია;
    - საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის თუ ადმინისტრაციული წარმოების პროცედურებთან დაკავშირებული ტერმინების განმარტებითი ლექსიკონი.;
    - ძირითადი პროცედურებისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით კითხვა-პასუხის განყოფილება;
    - საჯარო ინფორმაციის მიღების პროცედურების გამარტივების მიზნით, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ელექტრონული ფორმა. რაც დაზოგავს როგორც მოქალაქის, ასევე თავად საჯარო დაწესებულების დროსა და რესურსებს. ამით, კიდევ უფრო გამარტივდება საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებული ბიუროკრატიული პროცედურები;
    - მნიშვნელოვანია არსებობდეს შესაბამისი სტატისტიკური მონაცემები მოთხოვნილი, გაცემული და უარყოფილი მოთხოვნების შესახებ. ვებ-გვერდზე სასურველია განთავსდეს ინტერაქტიული რუკა, რომლის დახმარებითაც მომხმარებელი შეძლებს შეადაროს უწყების სტატისტიკური მონაცემები წლების, გაცემული პასუხების შინაარსისა და სხვა კატეგორიების მიხედვით;
    - ვებ-გვერდზე უნდა განთავსდეს საჯარო ინფორმაციის ელ. სამკითხველო (მონაცემთა ბაზა), სადაც პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაცია დალაგებული იქნება კატეგორიების მიხედვით. მათი მოძიება შესაძლებელი უნდა იყოს როგორც საკვანძო სიტყვების, ასევე, თარიღებისა და თემატიკის მიხედვით.

- პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაციის მონაცემთა ბაზის განყოფილებაში სასურველია არსებობდეს ადმინისტრაციული ხარჯების შესახებ პროაქტიულად გამოქვეყნებული შემდეგი სახის ინფორმაცია:
- თანამდებობის პირთა სახელფასო განაკვეთები და დანამატები;
- თანამდებობის პირთა მიერ მიღებული პრემიების შესახებ ინფორმაცია;
- თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციები;
- უწყების მთლიანი დანახარჯები და ფინანსური რესურსების განკარგვის დეტალური აღწერა;
- თანამდებობის პირთა სამივლინებო დანახარჯები დროისა და მგზავრობის მიზეზის დაზუსტებით;
- ოფიციალური შეხვედრების, მიღებების, საჩუქრების შესახებ ინფორმაცია - სტუმრის ვინაობის, ვიზიტის მიზნის, გაწეული ხარჯის ოდენობის, საჩუქრის ტიპის დასახელებით.

ზოგადად, სასურველია ამ განყოფილებაში გამოქვეყნებული ინფორმაცია კლასიფიცირებული იყოს კატეგორიების მიხედვით. კერძოდ, ცალკე განთავსდეს უწყების საქმიანობასთან, ხარჯებთან, პრიორიტეტებთან, გადაწყვეტილების მიღების პროცესთან, მუშაობის შედეგებთან და ა.შ დაკავშირებით პროაქტიულად გამოქვეყნებული მონაცემები. სასურველია, ვებ-გვერდზე განთავსდეს პროაქტიულად გამოქვეყნებული დოკუმენტების საძიებო სისტემა, სადაც შესაბამისი ინფორმაციის მოძიება შესაძლებელია მათი სახეობის, დარეგისტრირების დროის, ნომრის, დეპარტამენტისა და ნებისმიერი საძიებო სიტყვის მითითებით.

- ამავე განყოფილებაში განთავსებული უნდა იყოს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შემოსულ განცხადებებისა და გაცემული პასუხების განახლებადი რეესტრი - საჯარო ინფორმაციის ელექტრონული რეესტრი (განცხადების შინაარსი, პასუხის სტატუსი).
- ამავე განყოფილებაში განთავსებული უნდა იყოს საჯარო დაწესებულების მიერ საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს პარლამენტის სახელზე გაგზავნილი 10 დეკემბრის ანგარიშები და მათი არქივი.
- ვებ-გვერდზე, საჯარო ინფორმაციისთვის დათმობილ განყოფილებაში, უნდა არსებობდეს შესაბამის სამართალწარმოებასთან დაკავშირებული ქვე-განყოფილება. აღნიშნულ გვერდზე სასურველია განთავსდეს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის არ დაკმაყოფილების ადმინისტრაციული გასაჩივრების ელექტრონული ფორმები. ასევე, აუცილებელია აღწერილი იყოს აღნიშნული ტიპის მიმართვების პროცედურა. გარდა ამისა, აქვე უნდა იყოს

განთავსებული ცნობები საჯარო ინფორმაციის მოთხოვნასთან დაკავშრებით გამართული სასამართლო დავების შესახებ და სასამართლო გადაწყვეტილებები. არსებული ინფორმაციის მარტივად მოძიების მიზნით, ისინი დალაგებული უნდა იყოს გადაწყვეტილების მიღების თარიღისა და თემატიკის მიხედვით (იხილეთ დანართი 1).

- <u>პუბლიკაციები:</u> სასურველია საჯარო დაწესებულების ოფიციალურ ვებ-გვერდზე არსებობდეს განყოფილება „პუბლიკაციები", სადაც გამოქვეყნდება საჯარო უწყების ყველა სტრუქტურული ერთეულის მიერ მომზადებული ანგარიშები, კვლევები მათ კომპეტენციაში შემავალი საკითხების შესახებ. უკეთესია სხვადასხვა ტიპის ანგარიშები და კვლევითი მასალები დალაგებული იყოს რამდენიმე კატეგორიის მიხედვით, რაც გაამარტივებს მომხმარებლისთვის სასურველი ინფორმაციის მოძიებას. ამავე განყოფილებაში შეიძლება გამოქვეყნდეს მათ საქმიანობასთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემები და მათი მიმოხილვები.

- <u>საჯარო განხილვების განყოფილება:</u> მოქალაქეებთან ეფექტური კომუნიკაციის დასანერგად და უწყების საქმიანობაში მათი ჩართულობის დონის ასამაღლებლად შესყიდვების სააგენტოსთვის სასარგებლო იქნება ელექტრონული კომუნიკაციის შესაბამისი პლატფორმის დანერგვა. აღნიშნული პლატფორმის ინტეგრირებით საზოგადოებას საშუალება მიეცემა დაამყაროს პირდაპირი ინტერაქციული კავშირი საჯარო დაწესებულების პასუხისმგებელ პირებთან, გააჟღეროს საკუთარი მოსაზრებები და წინადადებები, დააფიქსიროს არსებული პრობლემები. სასურველია ჩატარებული საჯარო დისკუსიების საფუძველზე შემუშავდეს ანგარიში, სადაც სამთავრობო უწყების მიერ შეჯამებული იქნება საზოგადოების მიერ იდენტიფიცირებული საკითხები და დასახული იქნება მათი გადაჭრის გზები.

- <u>სიახლეების განყოფილება:</u> ყველა საჯარო დაწესებულება საკუთარი საქმიანობის შესახებ მოსახლეობის ინფორმირების მიზნით ვებ-გვერდზე იყენებს სიახლეების განყოფილებას. თუმცა, მათი გადმოცემისა და განლაგების ფორმა დაინტერესებული პირების მიერ სასურველი ინფორმაციის მარტივად მოძიების შესაძლებლობაზეც აისახება. სასურველია შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდზე სიახლეების განყოფილებაში განთავსებული

ცნობების კლასიფიკაცია და კატეგორიზაცია (მაგ. პრეს რელიზების, გამოსვლების, განცხადებების განყოფილებების შექმნით).

რაც შეეხება ცალკეული ღონისძიებების შესახებ არსებულ ინფორმაციას, სასურველია ისინი განაწილებული იყოს მათი განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეულების მიხედვით. შედეგად, სიახლეების განყოფილებაში ახალი ამბები წარმოდგენილი იქნება როგორც ერთიანი ფორმატით, ასევე სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების მიხედვით. ასევე მნიშვნელოვანია უწყების ვებ-გვერდზე სიახლეების არქივის შესაბამისი სტრუქტურირება.

- საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა: შესყიდვების სააგენტოს საკადრო პოლიტიკის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია ვებ-გვერდზე არსებობდეს სხვადასხვა საჯარო თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული საკონკურსო განცხადები. მნიშვნელოვანია დეტალურად იყოს აღწერილი ვაკანტური თანამდებობის ფარგლებში გათვალისწინებული ვალდებულებები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ვაკანტური პოზიციის სახელფასო განაკვეთი და განცხადების გასაგზავნად განსაზღვრული ვადები. შესაძლებელი უნდა იყოს განცხადების ონლაინ შევსება.

  ვებ-გვერდზე სასურველია არსებობდეს ცნობები უწყებაში არსებული საჯარო თანამდებობების შესახებ, დეტალურ ინფორმაცია დაწესებულებაში არსებული სხვადასხვა პოზიციებისა და ამ პოზიციებზე გათვალისწინებული უფლება-მოვალეობების შესახებ.

  გარდა ამისა, სასურველია სამთავრობო დაწესებულების ელექტრონულ რესურსზე მოიძებნებოდეს ინფორმაცია თანამდებობებით გათვალისწინებული ბენეფიტების, ჯანმრთელობისა და სოციალური დაზღვევის, სამუშაო რეჟიმის, შვებულებების პირობების შესახებ. კიდევ ერთი საგულისხმო დეტალია ვებ-გვერდზე ვაკანსიების საძიებო სისტემის არსებობა. ამით მომხმარებელს საჯარო დაწესებულებაში სამსახურის მოძებნა შეეძლება ხელფასის ოდენობის, თანამდებობისა და ნებისმიერი საძიებო სიტყვის მითითებით.

  ამავდროულად, მნიშვნელოვანია შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდზე მოიძებნებოდეს ინფორმაცია სტაჟირების შესახებ. აქ დეტალურად უნდა იყოს აღწერილი სტაჟირების გავლისთვის აუცილებელი საკვალიფიკაციო მოთხოვნები და სხვა რელევანტური ცნობები.

- <u>უცხო ქვეყნებთან თანამშრომლობა:</u> შესყიდვების სააგენტოს საქმიანობიდან გამომდინარე უწყებისთვის ხშირად მნიშვნელოვანია უცხოური ექსპერტიზის გამოყენება, რა მიზნითაც ხშირად იმართება შეხვედრები, ტრენინგები და სხვადასხვა ტიპის ღონისძიებები უცხოური ქვეყნებისა და ორგანიზაციის წარმომადგენლებთან და პარტნიორებთან. უცხოური მაგალითების გათვალისწინებით, სასურველია, ვებ-გვერდზე წარმოდგენილი იყოს შემდეგი ტიპის ცნობები:
  - ინფორმაცია განხორციელებული ვიზიტების, მათი ზუსტი თარიღის, მასპინძელი ორგანიზაციის შესახებ;
  - ინფორმაცია შეხვედრების მიზნების/დანიშნულების შესახებ;
  - შეხვედრაზე განხილული საკითხების შედარებით დეტალური აღწერა;
  - არსებობის შემთხვევაში მხარეებს შორის გაფორმებული შეთანხმებისა და მემორანდუმის შესახებ ცნობები;
  - ინფორმაცია ვიზიტების შედეგების შესახებ;
  - ინფორმაცია საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად ჩატარებული პროექტებისა და ტრენინგების შესახებ;
  - ინფორმაცია საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ უწყების საქმიანობასთან დაკავშირებით შემუშავებული ანგარიშების შესახებ.

- <u>დამოუკიდებელი ორგანიზაციების ანგარიშები:</u> სასურველია დამკვიდრდეს გარე, არასამთავრობო აქტორების მიერ საჯარო დაწესებულებების საქმიანობის ეფექტურობის შეფასების პრაქტიკაც. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ რამდენიმე წელიწადში ერთხელ დამოუკიდებელი ორგანიზაციები აფასებენ უცხოური დაწესებულებების საქმიანობის ეფექტურობას, ფინანსური ოპერაციების სიზუსტეს და მის წინაშე არსებული ამოცანების შესრულების ხარისხს.

- <u>გზამკვლევები:</u> სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის უკეთ გამოყენების მიზნით, სასურველია ძირითადი წესების გზამკვლევის გარდა ვებ-გვერდზე განთავსდეს შესაბამისი ვიდეო რგოლები. ამით მოქალაქეები უფრო თვალნათლივ აღიქვამენ და გაიგებენ აღნიშნული პორტალის ფუნქციებს, დანიშნულებებსა და მისი მოხმარების წესებს. ასევე, პროცედურების კიდევ უფრო გამარტივების მიზნით, სასურველია ვებ-გვერდზე მოთავსდეს სატენდერო განცხადების შესავსებად აუცილებელი სტანდარტული ფორმები.

- <u>სტატისტიკა:</u> სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაზე განხორციელებული შესყიდვების შესახებ უფრო დეტალური ინფორმაციის მიღების მიზნით, სასურველია, ვებ-გვერდზე განთავსდეს სხვადასხვა მომსახურებასა და საქონლის შესყიდვასთან დაკავშირებით გაფორმებული შეთანხმებების ყოველწლიური ანგარიშები. ასევე, მნიშვნელოვანია დაიდოს განხორციელებული შესყიდვების შესახებ დამუშავებული სტატისტიკური მონაცემები. მაგალითად, სასურველია მოცემული იყოს წლის განმავლობაში, სახელმწიფო უწყებების მიერ გამოცხადებული ტენდერებისა და კონტრაქტების რაოდენობა.

- <u>სახელმწიფო შესყიდვები ერთიან ელექტრონულ სისტემაზე ხელმისაწვდომობა:</u> საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის დონის ასამაღლებლად, სასურველია, პორტალზე არსებობდეს ულიმიტო დაშვება არარეგისტრირებული მოქალაქეებისთვის. როგორც ცნობილია, ვებ-გვერდზე, სამწუხაროდ, მხოლოდ სისტემაში ავტორიზირებულ მომხმარებელს აქვს წვდომა ისეთ მნიშვნელოვან დოკუმენტებზე, როგორიც არის საჯარო დაწესებულებების შესყიდვების გეგმები და საჯარო დაწესებულებების შესყიდვების კვარტალური ანგარიშები. მნიშვნელოვანია აგრეთვე ატვირთული ანგარიშები წარმოდგენილი იქნას დამუშავებად ციფრულ ფორმატებში მაგ. html, Excel, Access.

- <u>ტექნიკური გამართულობის კვლევა:</u> ელექტრონული პორტალის შინაარსობრივ და მასზე განთავსებული მომსახურებების არსობრივ მხარესთან ერთად, მნიშვნელოვანია ვებ-გვერდის ტექნიკური გამართულობა. ამის შეფასების საუკეთესო საშუალება ყოველწლიური კვლევების მომზადებაა. აღნიშნულ მოხსენებებში გაანალიზირებული იქნება გვერდზე დანერგილი სხვადასხვა ტიპის სერვისები და ნოვაციები. შეფასდება მათი ეფექტურობა და პრაქტიკული განხორცილების დროს გამოვლენილი ხარვეზები. ანალიზი, სასურველია, დაფუძნებული იყოს რამდენიმე წინასწარ განსაზღვრულ კრიტერიუმზე, მაგალითად, პორტალზე განთავსებული მომსახურების მხარდაჭერა, განვითარებული მომსახურებები, მათი პრაქტიკაში განხორციელების ხარისხი. ამასთან ერთად, ყურადღება უნდა დაეთმოს მომხმარებელთა კვლევას. კერძოდ, სასურველია შეგროვდეს პორტალის ჩვეულებრივ და აქტიურ მომხმარებელთა სტატისტიკური მონაცემები როგორც თვეების, ასევე სექტორების მიხედვით. ეს

იძლევა საშუალებას დადგინდეს რა ტიპის მომსახურებაზეა მაღალი მოთხოვნა ელექტრონული რესურსის მომხმარებელთა მხრიდან. შეფასებული უნდა იყოს, ასევე, არსებული დანერგილი ტექნიკური გადაწყვეტილებებისადმი მათი დამოკიდებულება და კმაყოფილების ხარისხი.

- <u>საჩივრების წარდგენა და დავების განხილვა:</u> მოქალაქეების ინტერესების დასაცავად მნიშვნელოვანია ვებ-გვერდზე მოცემული იყოს გასაჩივრებისა და დავების განხილვის პროცედურების, განცხადების შესავსებად გასათვალისწინებელი წესებისა და საკონტაქტო რეკვიზიტების შესახებ ცნობები.

- <u>ფორუმი:</u> საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის ინტერაქციული ხასიათის ასამაღლებლად და მომხმარებელთა შორის ეფექტური კომუნიკაციის დასამყარებლად კარგი იქნება ვებ-გვერდზე ფორუმის გახსნა. აღნიშნულ პორტალზე მოქალაქეები შეძლებენ სხვადასხვა საკითხზე საკუთარი პოზიციების დაფიქსირებას, საკუთარი პრობლემების წამოჭრას და მათ გადაწყვეტის გზების ძიებას. ეს მომსახურების ხარისხს მნიშვნელოვნად აამაღლებს.

- <u>ტენდერების სპეციალური მონაცემთა სისტემა:</u> ვებ-გვერდზე შესაძლებელია განთავსდეს ინფორმაცია სავარაუდო ტენდერებისა და მათი ღირებულების შესახებ. რაც შესაძლოა ღირებული ინფორმაცია აღმოჩნდეს სხვადასხვა ორგანიზაციებისა და დაინტერესებული პირებისთვის, საკუთარი საქმიანობის უკეთ დაგეგმვისთვის.

- <u>წლიური ანგარიში:</u> კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს საქმიანობიდან გამომდინარე მისი საქმიანობის წლიურ ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს სპეციფიური დეტალები. კერძოდ, საერთაშორისო გამოცდილებიდან გამომდინარე მასში შეიძლება აისახოს შემდეგი ტიპის მონაცემები:
  - კვარტალური მონაცემები სახელმწიფო შესყიდვების შესახებ;
  - სხვადასხვა სპეციფიური სტატისტიკური მაჩვენებლები;

- საჯარო დაწესებულებების მიერ განხორციელებული შესყიდვების რაოდენობა და ხარჯთაღრიცხვა;
- შესყიდვების სახეობებისა და ღირებულების მიხედვით, სამინისტროების შესყიდვებისა და მათზე დახარჯული თანხის ურთიერთდამოკიდებულება/პროპორცია.

დანართი 1: დაწესებულებების საჯარო ინფორმაციის გვერდის სტრუქტურის ნიმუში



## საჯარო ინფორმაციის მოთხოვნების სტატისტიკური კვლევა

სამიზნე საჯარო დაწესებულებების მიერ საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავით განსაზღვრული ვალდებულების შესრულების სტატისტიკური ანალიზისათვის, ინფორმაციის თავისუფლების ფან ვითარების ინსტიტუტმა პირველ რიგში გამოიყენა საკუთარ მონაცემთა ბაზები. 2010-2011 წლებში IDFI-ი კვლევის სამიზნე დაწესებულებებიდან რეგულარულად ითხოვდა საჯარო ინფორმაციას. ამავე დროს სრულყოფილი კვლევის ჩატარების მიზნით IDFI-იმ აღნიშნული სახელმწიფო ინსტიტუტებიდან გამოითხოვა 2009-2012 წლების განმავლობაში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნებით შესული განცხადებები და მათზე გაცემული პასუხები. აგრეთვე გამოთხოვილი იქნა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის შესაბამისად დაწესებულებების მიერ შედგენილი და საქართველოს პარლამენტსა და საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში გადაგზავნილი ინფორმაციის თავისუფლების მდგომარეობის 2009, 2010 და 2011 წლების ანგარიშები (ე.წ. 10 დეკემბრის ანგარიშები).

ანალიზის შედეგად შედგა აჭარის ა/რ მთავრობის, აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს, აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, აჭარის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, აჭარის ა/რ განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს კონტროლის პალატის, საჯარო სამსახურის ბიუროს, კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ ბოლო წლებში საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავით განსაზღვრული ვალდებულების შესრულების სტატისტიკური ანალიზი.

ამავე დროს, აღნიშნული საჯარო ინფორმაციის ანალიზის შედეგად, გამოიკვეთა ის საკითხები, რომლებიც ყველაზე მეტად აინტერესებს საზოგადოებას სამიზნე საჯარო დაწესებულებების საქმიანობიდან გამომდინარე. შესაბამისად ყველაზე მოთხოვნადი საჯარო ინფორმაციის დადგენით, შესაძლებელი გახდა იმ საკითხთა ჩამონათვალის განსაზღვრა, რომლებიც რეკომენდირებული იქნება პროაქტიულად გამოქვეყნებისთვის.

საჯარო ინფორმაციის მოთხოვნებზე ადმინისტრაციული ორგანოების პასუხების ანალიზის შედეგად, გამოვლინდა ის ხარვეზები, რომლებიც აბრკოლებენ სამიზნე საჯარო დაწესებულებების გამჭვირვალე და მოქალაქეების ინტერესებზე გათვალისწინებულ საქმიანობას.

## კვლევის მეთოდოლოგია

### ანალიზის აღწერა

ზემოთაღნიშნული მიზნის მისაღწევად პროექტის ფარგლებში გაანალიზებულ იქნა 2009-2010-2011 წლებში (და ზოგ შემთხვევაში ასევე 2012) საქართველოს 9 საჯარო დაწესებულებაში შესული საჯარო ინფორმაციის მოთხოვნათა განცხადებები. კვლევამ მოცვა როგორც ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მიერ პროექტ „საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის“ ფარგლებში გაგზავნილი, ისე სხვა ფიზიკური თუ იურიდიული პირების მიერ გაგზავნილი განცხადებები, რომლებიც თავად აღნიშნული საჯარო დაწესებულებების მიერ იქნა მოწოდებული.

### მეთოდები

ანალიზი მოიცავს სტატისტიკურ და თვისობრივ კომპონენტებს. სტატისტიკურად დაითვალა მოცემული წლების განმავლობაში მიღებული მოთხოვნების რაოდენობა, საკითხების აქტუალობა, ვადების დაცვით/დარღვევით გაცემული პასუხების რაოდენობა. შინაარსობრივად გაანალიზდა თითოეულ მოთხოვნაზე საჯარო დაწესებულების მიერ გაცემული პასუხი, იმ მიზნით, რომ დაგვედგინა პასუხის მოთხოვნასთან შესაბამისობა. ამ კუთხით გამოყოფილ იქნა ოთხი ძირითადი კატეგორია: სრულყოფილი პასუხი, არასრულყოფილი პასუხი, უარი და იგნორირება (აღნიშნული შეფასების სისტემა რამდენიმე წლის მანძილზეა აპრობირებული ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მიერ პროექტის -„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზა“ ფარგლებში).

პასუხის კატეგორიების განსაზღვრა დამოკიდებულია: ა) განცხადების შინაარსზე; ბ) გაცემულ პასუხზე; გ) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ უფლება-მოვალეობებსა და შეზღუდვებზე. ამ ყოველივეს გათვალისწინების შემდეგ, თუ ინფორმაცია სრულად პასუხობს მოთხოვნას (მოთხოვნილი ინფორმაციის მიწოდების ფორმის ჩათვლით), ის მიიჩნევა სრულყოფილად; ნაწილობრივ დაკმაყოფილებული პასუხი - არასრულყოფილად; თუკი წერილში განმარტებულია ინფორმაციის არ გაცემის საფუძვლები - დასაბუთებულ უარად; ხოლო იმ შემთხვევაში, თუკი პასუხად გაგზავნილ წერილში საერთოდ არ არის ნახსენები განცხადების თანახმად მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია - იგნორირებად. ამ კატეგორიების მიხედვით გადანაწილებული პასუხები ასევე დაჯგუფდა: წლების, აქტუალობის, ვადების დაცვის მიხედვით.

აღსანიშნავია აგრეთვე ის გარემოება, რომ სტატისტიკური კვლევის პროცესში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ერთ კონკრეტულ განცხადებებში ჩამოთვლილი სხვადასხვა მოთხოვნები (საკითხები) განცალკევებულ მოთხოვნებად იქნა მიჩნეული.

## პროექტის სამიზნე საჯარო დაწესებულებების 10 დეკემბრის ანგარიშების ანალიზი

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის (შემდგომში სზაკ-ი) 49-ე მუხლის

**სზაკ-ის 49 მუხლი. ანგარიშის წარდგენა**
ყოველი წლის 10 დეკემბერს საჯარო დაწესებულება ვალდებულია წარუდგინოს ანგარიში საქართველოს პრეზიდენტს და პარლამენტს:

ა) *საჯარო დაწესებულებაში შესული საჯარო ინფორმაციის გაცემისა და საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნათა რაოდენობის შესახებ და მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ;*
*ბ) მოთხოვნის დაკმაყოფილების ან მასზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის, გადაწყვეტილების მიმღები საჯარო მოსამსახურის ვინაობის, აგრეთვე კოლეგიური საჯარო დაწესებულების მიერ საკუთარი სხდომის დახურვის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ;*
*გ) საჯარო მონაცემთა ბაზების;*
*დ) საჯარო მოსამსახურეთა მიერ ამ კოდექსის მოთხოვნების დარღვევის რაოდენობისა და პასუხიმგებელ პირებზე დისციპლინური სახდელის დადების შესახებ.*
*ე) იმ საკანონმდებლო აქტების შესახებ, რომლებსაც დაწესებულება ეყრდნობოდა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისას ან კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვისას;*
*ვ) საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების შესახებ;*
*ზ) საჯარო დაწესებულების მიერ ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან, აგრეთვე ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების ან კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯების, მათ შორის მხარის სასარგებლოდ გადახდილი თანხების შესახებ.*

თანახმად საჯარო დაწესებულება ვალდებულია მოამზადოს საჯარო ინფორმაციის გაცემის ანგარიშები და წელიწადში ერთხელ, ყოველი წლის 10 დეკემბერს წარუდგინოს ისინი საქართველოს პარლამენტსა და პრეზიდენტს. ანგარიშის შინაარსი განსაზღვრულია სზაკის 49-ე მუხლით. მასში უნდა აისახოს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნების რიცხვი, მოთხოვნის დაკმაყოფილების ან უარის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობა, იმ პირის ვინაობა ვინც აღნიშნულ გადაწყვეტილებებს იღებს, ინფორმაცია იმ სამართლებრივი აქტების შესახებ, რომლითაც დაწესებულება გადაწყვეტილების მიღების

პროცესში ხელმძღვანელობს, ასევე მონაცემები ინფორმაციის დამუშავებისა და გაცემის, უარის გასაჩივრების ხარჯებისა და სასამართლო სახდელების შესახებ.

სზაკ-ის 49-ე მუხლით გათვალისწინებული ანგარიშის წარდგენა შესაძლებელს ხდის და აადვილებს არამარტო ხელისუფლების მხრიდან (საქართველოს პარლამენტი და საქართველოს პრეზიდენტი), არამედ საზოგადოების მხრიდანაც, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის კონტროლს. პროექტის ფარგლებში „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა" 49-ე მუხლის მოთხოვნების შესრულების შესწავლის მიზნით 9 სამიზნე საჯარო დაწესებულებიდან (იუსტიციის სამინისტრო, აჭარის მთავრობა და აჭარის სამინისტროები, კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, კონტროლის პალატა, საჯარო სამსახური ბიურო) გამოითხოვა 2009, 2010 და 2011 წლებში ადმინისტრაციული ორგანოების მიერ გაგზავნილი 10 დეკემბრის ანგარიშები. სამწუხაროდ სახელმწიფო შესყიდვებისა და კონკურენციის სააგენტოდან აღნიშნული ინფორმაცია ვერ მივიღეთ.

## დასკვნა

ანალიზის შედეგად ჩანს, რომ საჯარო დაწესებულებების უმეტესობა ნაკლებად თვალისწინებს საკ-ის 49-ე მუხლით დადგენილ მოთხოვნებს 10 დეკემბრის ანგარიშის შედგენისას. შეიძლება ითქვას რომ თითოეულ დაწესებულებას ანგარიშების შედგენის საკუთარი სტანდარტი აქვს. ერთი საჯარო უწყების მიერ სამივე წელს წარდგენილი ანგარიში ერთმანეთის მსგავსია. შერჩეულია გარკვეული პუნქტები რომლებზეც სტანდარტული პასუხებია გაცემული.

სზაკის 49-ე პუნქტით გათვალისწინებული 7 პუნქტიდან მხოლოდ ორი პუნქტია ისეთი, რომელზეც ინსტიტუტის მიერ შესწავლილ ყველა ანგარიშშია მოცემული ინფორმაცია - საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნების რაოდენობა და საჯარო ინფორმაციაში შესწორების მოთხოვნის შეტანის საკითხი.

2009-2011 წლის ანგარიშების შედარებამ აჩვენა რომ წლიდან წლამდე ძირითადად მხოლოდ მოთხოვნილი ინფორმაციის რაოდენობრივი მონაცემები იცვლება და არ ხდება არსებული ხარვეზების გამოსწორება. ანგარიშებში ასახული მონაცემები უმეტეს შემთხვევაში არასრულყოფილია, არ შეესაბამება სზაკ-ის მოთხოვნებს და აქედან გამომდინარე ნაკლებად ასახავს ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებულ რეალურ ვითარებას.

რჩება შთაბეჭდილება, რომ საჯარო დაწესებულებების მხრიდან ინფორმაციის თავისუფლების შესახებ ანგარიშების წარდგენას მხოლოდ ფორმალური სახე აქვს და არ ხდება ზემდგომი დაწესებულებებისათვის სრული ინფორმაციის მიწოდება. სამწუხაროდ

მაკონტროლებელი ორგანოებიც ნაკლები სერიოზულობით ეკიდებიან აღნიშნულ საკითხს, რადგან არც პრეზიდენტის ადმინისტრაცია და არც პარლამენტი არ ახდენს შესაბამის რეაგირებას არასრულყოფილად შედგენილ ანგარიშებზე, არ ხდება მათი შესწავლა და კანონთან შესაბამისობაში მოყვანა .

ვფიქრობთ, რომ პრობლემის გამომწვევი ძირითადი ფაქტორი ანგარიშის სტანდარტული ფორმის არ არსებობაა, გამოსავალი კი საჯარო დაწესებულებების ხელმძღვანელი თანამდებობის პირების მიერ ამგვარი ფორმის დამტკიცების შესახებ სამართლებრივი აქტის გამოცემა შეიძლება იყოს.

## რეკომენდაცია

საჯარო დაწესებულებების ხელმძღვანელი თანამდებობის პირების მიერ ნორმატიულ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის საფუძველზე დამტკიცდეს 10 დეკემბრის ანგარიშის ფორმა.

## ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის შესახებ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის შესაბამისად განსაზღვრული ანგარიშის ფორმა

საქართველოს პრეზიდენტს / საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს

ბატონ / ქალბატონ

| საჯარო დაწესებულების | | სახელწოდება |
|---|---|---|

**ა. მონაცემები საჯარო ინფორმაციის მოთხოვნათა დაკმაყოფილების შესახებ**

| საჯარო ინფორმაციის მოთხოვნათა საერთო რაოდენობა | დაკმაყოფილებული მოთხოვნათა რაოდენობა | გადაწყვეტილების მიმღები საჯარო მოსამსახურე (სახელი, გვარი, თანამდებობა) | ინფორმაციის დამუშავებისა და გაცემის ხარჯები |
|---|---|---|---|
| | | | |

ბ. მონაცემები საჯარო ინფორმაციის მოთხოვნების არ დაკმაყოფილების შესახებ

| არ დაკმაყოფილებული მოთხოვნების რაოდენობა | უარის თქმის საფუძვლები (შესაბამისი საკანონმდებლო აქტები) | გადაწყვეტილების მიმღები საჯარო მოსამსახურე (სახელი, გვარი, თანამდებობა) | გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯები | მომჩივანი მხარის სასარგებლოდ სასამართლოს მიერ დაკისრებული თანხის ოდენობა |
|---|---|---|---|---|
| | | | | |

გ. მონაცემები საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის შესახებ

| საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნათა რაოდენობა | გადაწყვეტილების მიმღები საჯარო მოსამსახურე (სახელი, გვარი, თანამდებობა) |
|---|---|
| | |

**დ. მონაცემები საჯარო მონაცემთა ბაზების შესახებ**

| საჯარო მონაცემთა ბაზების ჩამონათვალი | საჯარო მონაცემთა ბაზების აღწერილობა |
|---|---|
| | |

**ე. მონაცემები კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ**

| კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებების რაოდენობა | სხდომის დახურვის საფუძველი - შესაბამისი საკანონმდებლო აქტები | გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯები | მომჩივანი მხარის სასარგებლოდ სასამართლოს მიერ დაკისრებული გადასახდელი თანხის ოდენობა |
|---|---|---|---|
| | | | |

ვ. მონაცემები საჯარო მოსამსახურეთა მიერ სზაკ-ის მოთხოვნების დარღვევის რაოდენობისა და პასუხიმგებელ პირებზე დისციპლინური სახდელის დადების შესახებ

| საჯარო მოსამსახურეთა მიერ ზაკ-ის მოთხოვნების დარღვევის რაოდენობა | დარღვევებზე პასუხიმგებელ პირებზე დისციპლინური სახდელის დადების რაოდენობა |
|---|---|
| | |

ხელმოწერა: თარიღი:

## სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო - საჯარო ინფორმაციის მოთხოვნები 2009-2012 წწ.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 4 წლის მანძილზე (2009-2012) მოთხოვნები 753 საკითხზე გაიგზავნა. აქედან ყველაზე მეტი (675) მოთხოვნა ეხებოდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საჯარო ინფორმაციას, ხოლო აქტუალობით მეორე და მესამე ადგილებზე იყო ინფორმაცია ავტოპარკისა და ხელფასების, დანამატებისა და პრემიების შესახებ. ტენდენციების თვალსაზრისით, სახელმწიფო შესყიდვები ყველაზე აქტუალური საკითხი იყო 2010 წელს.




რაც შეეხება სხვა განცხადებებს, ერთადერთი საკითხი, რომელიც კვლევის მიერ დაფარული ოთხივე წლის მანძილზე იყო მოთხოვნილი, არის სამართლებრივი აქტები (2009-2010 წლებში თითო-თითო მოთხოვნა, 2011-2012 წლებში - სამ-სამი) და უწყების საშტატო განრიგთან დაკავშირებული საჯარო ინფორმაცია (2009 წელს - 1 მოთხოვნა, 2011 წელს - 3, ხოლო 2012 წელს - 2).




კვლევის მიერ დაფარული ოთხი წლის მანძილზე სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში შესული საჯარო ინფორმაციის მოთხოვნების ტენდენცია ცვალებადია. 2009 წელს დაფიქსირებული 85 მოთხოვნის შემდეგ, 2010 წელს იყო მატება 538 მოთხოვნამდე, 2011 წელს კი მოთხოვნების რაოდენობამ 121 შეადგინა. „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ მიერ მხოლოდ ერთ წერილში იქნა მოთხოვნილ 521 საკითხი, კერძოდ საწარმოების მიერ 2008-2010 წლებში დადებული სატენდერო ხელშეკრულებები.




რაც შეეხება გაცემული საჯარო ინფორმაციის შინაარსობრივ მხარეს, შემთხვევების 96%-ში პასუხი სრულყოფილი იყო და სრულად პასუხობდა დასმულ საკითხებს. ამას გარდა, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2009-2012 წლებში არც ერთ საკითხზე არ უთქვამს უარი საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით. თუმცა, 19 შემთხვევაში გაცემული პასუხები არასრულყოფილი იყო, - რამაც მთლიანი პასუხების 2% შეადგინა. ხოლო 2%-ის შემთხვევაში (სულ12 ასეთი შემთხვევა) მოთხოვნები პასუხგაუცემელი აღმოჩნდა.



ყველაზე აქტუალური საკითხი, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საჯარო ინფორმაცია, 675 შემთხვევიდან 667-ში სრულყოფილად იქნა გაცემული, არც ერთხელ არ ყოფილა უარი ინფორმაციის გაცემაზე, 5-ჯერ გაიცა არასრული ინფორმაცია, ხოლო 3-ჯერ საკითხის იგნორირებას ჰქონდა ადგილი. არასრულყოფილი პასუხების მიზეზი იყო ის, რომ ინფორმაციის მოწოდების ნაცვლად მოხდა ვებ-გვერდზე (www.procuremenet.gov.ge) გადამისამართება, რაც შეეხება იგნორირებას, სამივე შემთხვევაში ეს ეხებოდა შესყიდვების გეგმების შესახებ საჯარო ინფორმაციას.




რაც შეეხება სხვა საკითხებზე არასრულყოფილად მიწოდებული პასუხების თემატურ განაწილებას, ყველაზე მეტი არასრულყოფილი პასუხი გაეცა ინფორმაციის მოთხოვნებს ავტოპარკის, ხელფასების, დანამატების, პრემიების, საჯარო ინფორმაციის გაცემის რეკვიზიტებისა და საჯარო ინფორმაციის რეესტრის შესახებ. ასევე ნაწილობრივ დაკმაყოფილდა მოთხოვნები სატელეკომუნიკაციო ხარჯებისა და პროექტებთან ან პროგრამებთან დაკავშირებული ინფორმაციის თაობაზე. არასრულყოფილი პასუხების მიზეზები იყო შემდეგი სახის: თანამშრომლების სატელეკომუნიკაციო ხარჯების შემთხვევაში მოცემული იყო მხოლოდ მეორე კვარტალის მონაცემები და არ იყო გამოყოფილი ინფორმაცია მობილური ოპერატორების, საერთაშორისო და ლოკალური ზარების შესახებ; საჯარო ინფორმაციის რეკვიზიტების შესახებ მოწოდებული იყო მხოლოდ შემოსული წერილების რაოდენობა და მათი სტატუსი, არ იქნა მოწოდებული საჯარო ინფორმაციის რეესტრი, პროექტებთან და პროგრამებთან დაკავშირებით არსებულ შეკითხვაზე მოხდა ვებ-გვერდზე გადამისამართება.

რაც შეეხება პასუხგაუცემელ განცხადებებს, ნაწილობრივ იგნორირებული იყო მოთხოვნები თანამდებობის პირთა სატელეკომუნიკაციო ხარჯების (მოწოდებული იყო მხოლოდ სისტემის სრული ხარჯი), თანამდებობის პირების სამივლინებო ხარჯების, სრული სისტემის საწვავის მოხმარების ხარჯების, შტატში მომუშავე

პირთა საერთო რაოდენობის, თანამდებობის პირებზე გაცემული დანამატების რაოდენობის, ოფიციალურ მიღებებსა და საჩუქრებზე გაწეული ხარჯების, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს უფროსის პერსონალურ დაცვაზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან 2008 წელს დახარჯული თანხების შესახებ.

საინტერესოა აგრეთვე იმის აღნიშვნა, რომ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში ასევე გაგზავნილი იქნა საკონსულტაციო სახის განაცხადები ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებით, რომელიც სრულყოფილად დაკმაყოფილდა.




პასუხების უმეტესობა (659 საკითხი 720-დან) ვადების დაცვით იქნა გაცემული. თუმცა, ამ საკითხების უმრავლესობა მოდის სახელმწიფო შესყიდვებზე, სხვა საკითხებიდან მხოლოდ ღონისძიებები, სამართლებრივი აქტები და სხვა საჯარო ინფორმაცია იყო გაცემული ვადების დაცვით, ხოლო ყველა დანარჩენი საკითხი - ვადების დარღვევით.


სახელმწიფო შესყიდვები
650
22
0
50
100
150
ვადების დაცვა
ვადების დარღვევა


ინფორმაციის მოწოდების ვადები ბლოკების მიხედვით
ბიუჯეტი
3
სარეზერვო ფონდები
4
უძრავი ქონება
0
1
სატელეკომუნიკაციო ხარჯები
2
მივლინებები
2
ავტოპარკი
14
შტატი
6
ხელფასები/ დანამატები/პრემიები
8
საჯარო ინფორმაციის გაცემის რეკვიზიტები და საჯარო ინფორმაციის რეესტრი
3
ვებ-გვერდის შექმნის ხარჯები
2
პროექტებთან ან პროგრამებთან დაკავშირებული ინფორმაცია
6
გატარებული ღონისძიებების ჩამონათვალი და ხარჯთაღრიცხვა
2
1
სამართლებრივი აქტები
3
4
სხვა საჯარო ინფორმაცია
4
1
0
2
4
6
8
10
12
14
ვადების დაცვა
ვადების დარღვევა

## საჯარო ინფორმაციის მოთხოვნების რეესტრი: სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო

| სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო | | |
|---|---|---|
| მოთხოვნილი ინფორმაციის კატეგორია | მოთხოვნილი ინფორმაციის ქვეკატეგორია | კომენტარი |
| **1. ბიუჯეტი** | 1.1. ბიუჯეტის ასიგნებების ხარჯვის შესახებ ამომწურავი ინფორმაცია | არ არის ცალ-ცალკე გამოყოფილი პირველი და მეორე კვარტალი. |
| | 1.2. არასაბიუჯეტო შემოსავლები | |
| **2. სარეზერვო ფონდები** | 2.1. ინფორმაცია საჯარო დაწესებულებისთვის გამოყოფილი თანხების ოდენობის შესახებ | |
| | 2.2. გამოყოფილი თანხების შემთხვევაში, შესაბამისი სამართლებრივი აქტის ასლი. | |
| **3. უძრავი ქონება** | 3.1. საჯარო დაწესებულების ბალანსზე არსებული უძრავი ქონების ჩამონათვალი | |
| **4. სახელმწიფო შესყიდვები** | 4.1. განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების (გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები) ამომწურავი ჩამონათვალი (სია) | გადამისამართება www.procurement.gov.ge-ზე. |

| | | |
|---|---|---|
| | 4.2. თითოეულ შესყიდვაზე გახარჯული თანხის ოდენობა | გადამისამართება www.procurement.gov.ge-ზე. |
| | 4.3. შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი წლიური ანგარიშები | TI -მ მოითხოვა 521 საწარმოს მიერ 2008 -2010 წლებში დადებული სატენდერო ხელშეკრულებები, რომელთა მოძიებაც მოითხოვდა წარმოდგენილი ანგარიშების ხელახლა შესწავლას , რისი რესურსიც სააგენტოს არ გააჩნდა და ამიტომ შესთავაზეს მომთხოვნს ადგილზე გაცნობოდა ინფორმაციას. |
| | 4.4. შესყიდვებთან დაკავშირებული დავები | 2011 წლის 7 ნოემბრიდან ფუნქციონირებს ელექტრონული მოდული, რომელიც საჩივრის ელექტრონული ფორმით წარდგენის შესაძლებლობას იძლევა. |
| | 4.5. შესყიდვების დოკუმენტაცია | |
| | 4.6. შესყიდვების გეგმები | |
| | 4.7. ინფორმაცია ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მიერ სატენდერო დოკუმენტაციის წარმოდგენის შესახებ | |
| | 4.8. ტენდერში მონაწილე ორგანიზაციების რაოდენობა | |
| **5. სატელეკომუნიკაციო ხარჯები** | 5.1. თანამდებობის პირების მიერ განხორციელებულ სატელეფონო საუბრებზე (ზარები მობილურ ოპერატორებთან, საერთაშორისო და ლოკალური ზარები) გაწეული სატელეკომუნიკაციო ხარჯების შესახებ ინფორმაცია. | მოწოდებულია მხოლოდ სისტემის სრული ხარჯი. |

| | | |
|---|---|---|
| | 5.2. თანამშრომლების ხარჯები სატელეფონო საუბრებზე (ზარები მობილურ ოპერატორებთან, საერთაშორისო და ლოკალური ზარები). | |
| **6. მივლინებები** | 6.1. ინფორმაცია თანამდებობის პირების მიერ ქვეყნის გარეთ და ქვეყნის შიგნით (ცალ-ცალკე) განხორციელებულ ოფიციალურ და სამუშაო, ვიზიტებზე გაწეული სამივლინებო ხარჯების შესახებ. | მოწოდებულია სრული სისტემის სამივლინებო ხარჯი (რაც არ იყო გამოთხოვნილი), კვარტალების და ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ მითითების გარეშე. |
| | 6.2. თანამშრომლების სამივლინებო ხარჯები | |
| **7. ავტოპარკი** | 7.1. თანამდებობის პირებზე/ადმინისტრაციის სხვა საჯარო მოსამსახურეებზე რიცხული ავტომანქანების ჩამონათვალი | |
| | 7.2. თანამდებობის პირებზე/ადმინისტრაციის სხვა საჯარო მოსამსახურეებზე ავტომანქანების პერსონალური განაწილება. | |
| | 7.3. თანამდებობის პირების საწვავის ფაქტობრივი ხარჯი. | |
| | 7.4. თანამდებობის პირების მიერ მოხმარებული საწვავის ტიპი. | |

| | | |
|---|---|---|
| | 7.5. სრული სისტემის თანამშრომლებზე საწვავის მოხმარებაზე გაწეული ფაქტობრივი ხარჯი სრული. | |
| | 7.6. თანამდებობის პირების მიერ ავტომანქანებით მომსახურებაზე (შეკეთება, ცვეთა) ბიუჯეტიდან დახარჯული თანხის ოდენობა. | |
| | 7.7. სრული სისტემის მიერ ავტომანქანებით მომსახურებაზე (შეკეთება, ცვეთა) ბიუჯეტიდან დახარჯული თანხის ოდენობა. | |
| | 7.8. თანამშრომლების ავტოპარკის განახლებისა და ტრანსპორტისა და ტექნიკის მოვლა-შენახვისთვის გაწეული ხარჯები | |
| **8. შტატი** | 8.1. შტატში მომუშავე პირთა საერთო რაოდენობა. | |
| | 8.2. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის სახელი, გვარი, საკონტაქტო ინფორმაცია. | |
| **9. ხელფასები/ დანამატები/პრემიები** | 9.1. თანამდებობის პირებზე გაცემული ხელფასების რაოდენობა. | |

| | | |
|---|---|---|
| | 9.2. თანამდებობის პირებზე გაცემული დანამატების რაოდენობა. | |
| | 9.3. სრულ სისტემაზე გაცემული ხელფასების რაოდენობა. | |
| | 9.4 სრულ სისტემაზე გაცემული დანამატების რაოდენობა. | |
| | 9.5 თანამდებობის პირებზე გაცემული პრემიების რაოდენობა. | |
| | 9.6. სრული სისტემის (ყველა სტრუქტურული ერთეული, ტერიტორიული და სხვა სისტემაში შემავალი ორგანო თუ დანაყოფი) თანამშრომლებზე დარიცხული პრემიების რაოდენობა. | |
| **10. საჯარო ინფორმაციის გაცემის რეკვიზიტები და საჯარო ინფორმაციის რეესტრი** | 10.1. იმ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ჩამონათვალი, რომელიც მოიცავს პასუხს საჯარო ინფორმაციის დაკმაყოფილებაზე ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ, რეკვიზიტებზე მითითებით (დოკუმენტების ასლების გარეშე). | მოწოდებულია მხოლოდ შემოსული წერილების რაოდენობა და მათი სტატუსი (რომ ყველა დაკმაყოფილდა), თუმცა არ არის მოწოდებული ჩამონათვალი და რეკვიზიტები. |
| | 10.2. საჯარო ინფორმაციის საჯარო რეესტრის ასლი ან/და ელექტრონული ვერსია. | მოვითხოვეთ საჯარო რეესტრის ასლი ან ელ. ვერსია, პასუხში კი წერია რომ ასეთ რეესტრს აწარმოებენ და ასრულებენ მის დანიშნულებას, რაც არის საჯარო ინფორმაციის დაუბრკოლებლივ გაცემა. თუმცა, თავად რეესტრი მოწოდებული არ იქნა. |

| | | |
|---|---|---|
| **11. ვებ-გვერდის შექმნის ხარჯები** | 11.1. საჯარო დაწესებულების ოფიციალური ვებ-გვერდის შექმნაზე გაწეული ხარჯების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საჯარო ინფორმაცია. | |
| | 11.2. ვებ-გვერდის შექმნის თარიღი. | |
| **12. პროექტებთან ან პროგრამებთან დაკავშირებული ინფორმაცია** | 12.1.განხორციელებული პროექტების (სოციალური, მიზნობრივი, კვლევითი, სამეცნიერო, საგანმანათლებლო, ამა თუ იმ სფეროს განვითარებაზე მიმართული და მისთ.) ჩამონათვალი. | 2012 წელი: გადამისამართება ვებ-გვერდზე. |
| | 12.2. თითოეულ პროექტზე დახარჯული თანხების რაოდენობა. | |
| **13. გატარებული ღონისძიებების ჩამონათვალი და ხარჯთაღრიცხვა** | 13.1.განხორციელებული ღონისძიებების (სარეკლამო, კულტურული, საგანანმანათლებლო, სამეცნიერო, სოციალური და სხვა) ჩამონათვალი. | |
| **14. სამართლებრივი აქტები** | 14.1. ორგანიზაციის არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრში შეყვანის დოკუმენტაციის ასლები. | |
| **15. სხვა საჯარო ინფორმაცია** | 15.1. კონსულტაცია ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებით. | მოქალაქის მოთხოვნები არ მიეკუთვნება საჯარო ინფორმაციას, გაგზავნილი კითხვები საკონსულტაციო ხასიათისაა. მიუხედავად ამისა ორივე შეკითხვას სრულყოფილი პასუხი გაეცა. |

| | | |
|---|---|---|
| | 15.2. არის თუ არა შესაძლებელი ვებ-გვერდზე 2009-2010 წლების მონაცემების მოძიება. | |
| | 15.3. კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში მიწერილობების რაოდენობა კონკურენციის შეზღუდვის მიზნით, სექტორების მიხედვით. | |
| | 15.4. ოფიციალურ მიღებებსა და საჩუქრებზე გაწეული ხარჯები. | |
| | 15.5. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს უფროსის პერსონალურ დაცვაზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან 2008 წელს დახარჯული თანხების შესახებ. | |

## ფოკუსირებული დისკუსიების შედეგები

"ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა" კვლევის სრულყოფილად განხორციელების მიზნით პროექტის ფარგლებში **ფოკუსირებულ დისკუსია** გამართა არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლებთან. **დისკუსია მიზნად ისახავდა** ინფორმაციის გაცვლას და გამოცდილების გაზიარებას საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნასთან დაკავშირებით, სამიზნე საჯარო დაწესებულებებიდან საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნის პრაქტიკის ანალიზს და საზოგადოებისთვის საინტერესო და ყველაზე მოთხოვნადი ინფორმაციის თემატიკის დადგენას.

შეხვედრები გაიმართა როგორც ქალაქ ბათუმში ისე თბილისში. მასში მონაწილეობა მიიღეს საქართველოში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების, ინტერნეტ მედიისა და ბეჭდური მედიის, ასევე სტუდია მონიტორის ჟურნალისტებმა, რომლებსაც ინფორმაციის გამოთხოვნის საკმაოდ დიდი პრაქტიკა აქვთ და თავიანთი საქმიანობის ფარგლებში აქტიურად ითხოვენ საჯარო ინფორმაციას G3-ის პარტნიორი დაწესებულებებიდან.

როგორც დისკუსიებიდან გამოიკვეთა, სამიზნე დაწესებულებებიდან, კერძოდ იუსტიციის სამინისტროდან და კონტროლის პალატიდან საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის პრაქტიკა არაერთგვაროვანია, რადგან ინფორმაციის გაცემა ხშირად დამოკიდებულია მოთხოვნის შინაარსზე. ერთის მხრივ, იუსტიციის სამინისტრო ყოველთვის ვადის დაცვით გასცემს ინფორმაციას და დამუშავებული სახით გასცემს მონაცემებს, მაგრამ მეორეს მხრივ, თუ მოთხოვნა ეხება ისეთ „სენსიტიურ" თემებს, როგორიცაა მაგალითად პრემიები ან მივლინებები ინფორმაციის მიღება რთულდება. ანალოგიურია ინფორმაციის გამოთხოვნის პრაქტიკა კონტროლის პალატიდანაც. მედიის წარმომადგენლები ხშირად მიმართავენ ინფორმაციის მოთხოვნის წერილებით კონტროლის პალატას, მათი აზრით სასურველია ვებ-გვერდზე განთავსდეს კონტროლის პალატის მიერ შემოწმებული დაწესებულებების ნუსხა. ეს საშუალებას მისცემს ჟურნალისტებს გამოითხოვონ კონკრეტული უწყებების დოკუმენტები, რაც დააჩქარებს და გააადვილებს ინფორმაციის მიღებას. ასევე საჯარო დაწესებულებების ვებ-გვერდზე აუცილებლად უნდა განთავსდეს ბიუჯეტის შესრულების ბალანსი.

არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა თქმით ადვილია ინფორმაციის მიღება შესყიდვების სააგენტოდან, მაღალია სააგენტოს ოფიციალური ვებ-გვერდის ინფორმაციული გამჭვირვალობის ხარისხიც. თუმცა, საჯარო დაწესებულებების მიერ წარდგენილ შესყიდვების ოპერატიულ და წლიურ ანგარიშების წერილობით გამოთხოვნა ჟურნალისტებს მაინც უხდებათ. ერთადერთი რეკომენდაცია დისკუსიის

მონაწილეების მხრიდან შეეხებოდა საკანონმდებლო ცვლილებების შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდზე დროულ ასახვას.

ჟურნალისტების აზრით ადვილია ინფორმაციის მიღება საჯარო სამსახურის ბიუროდან. თუმცა, აჭარის ა/რ მთავრობის შესახებ რეგიონალური და ცენტრალური მედიის მოსაზრებები ერთმანეთს არ დაემთხვა. ბათუმის მედიასაშუალებების აზრით აჭარის ა/რ მთავრობის აპარატიდან ხშირად რთულია სრულყოფილი ინფორმაციის მიღება. ხოლო, თბილისში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიასაშუალებების აზრით აჭარის მთავრობის აპარატიდან საჯარო ინფორმაციის მიღება კანონმდებლობის ნორმათა დაცვით ხდება.

**რაც შეეხება მოთხოვნილი ინფორმაციის თემატიკას,** ყველაზე ხშირად არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლებს სახელმწიფო ბიუჯეტის მიზნობრივად ხარჯვის საკითხი და ფინანსური ხასიათის ინფორმაცია აინტერესებთ. ხშირად ითხოვენ ინფორმაციას სარეზერვო ფონდების, შესყიდვების, შტატის, ბიუჯეტის, ხელფასებისა და პრემიების, სოციალური პროგრამების, პროექტების, სამივლინებო, საკომუნიკაციო და ავტოპარკის ხარჯების, ასევე სხვადასხვა სამართლებრივი აქტების შესახებ.

არსამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლებმა შეხვედრებზე ისაუბრეს ზოგადად იმ პრობლემებზე რომლებიც რეალურად არსებობს და რომლებსაც ისინი აწყდებიან საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნისას როგორც საჯარო დაწესებულებების ასევე სასამრთლოს მხრიდან. ძალიან ხშირია ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი ვადების დარღვევის შემთხვევები. საჯარო დაწესებულებები ხშირად მარტივი ინფორმაციის გაცემასაც ათ დღეს ანდომებენ. ზოგჯერ მიღებული პასუხები არაადეკვატურია და არ პასუხობს კონკრეტულ მოთხოვნებს. ხშირია ვებ-გვერდზე გადამისამართება. ყველაფერი ეს კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ოფიციალურ ვებ-გერდებზე საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების აუცილებლობას.

ინფორმაციის ჩამონათვალი, რომლის ხელმისაწვდომობა და საჯარო დაწესებულებების ვებ-გვერდზე გამოქვეყნებაც ჟურნალისტებისა და არასამთავრობოების აზრით აუცილებლად უნდა მოხდეს, საკმაოდ ვრცელია და შემდეგ საკითხებს მოიცავს:

1. პროგრამული ბიუჯეტის შესრულების ბალანსი;
2. ინფორმაცია საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ (შესყიდვების სააგენტო);
3. კონტროლის პალატის მიერ შემოწმებული დაწესებულებების ნუსხა;
4. ერთ პირთან მოლაპარაკების საფუძველზე დადებული ხელშეკრულებები;

5. აუქციონის წესით გასხვისებული ქონების შესახებ დადებული ხელშეკრულებები;
6. მსხვილი ობიექტების პრივატიზების ხელშეკრულებები;
7. სააქციო საზოგადოებებში ხმის უფლების მქონე აქციონერთა ვინაობა;
8. ინფორმაცია ქვეკონტრაქტორების შესახებ ერთ პირთან მოლაპარაკების შემთხვევებში;
9. ქართული მხარის მიერ დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებები;
10. პრეზიდენტის განკარგულებები და ბრძანებულებები;
11. ააიპ-ების მიერ საბიუჯეტო თანხების ხარჯვასთან დაკავშირებული ინფორმაცია;

მედიის წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ მათთვის ღია უნდა იყოს მთავრობის სხდომები.

## რეკომენდაციები

2009, 2010, 2011 და ზოგ შემთხვევაში 2012 წლის მანძილზე 9 სამიზნე საჯარო დაწესებულებებიდან (აჭარის ა/რ მთავრობა, აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო, აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტრო, აჭარის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, აჭარის ა/რ განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს კონტროლის პალატა, საჯარო სამსახურის ბიურო, კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო) გამოთხოვილი და ამ დაწესებულებების მიერ გაცემული საჯარო ინფორმაციის სტატისტიკური და შინაარსობრივი ანალიზის შედეგად გამოიკვეთა საზოგადოებისთვის ძირითადი აქტუალობის მქონე საკითხები, რის საფუძველზეც შემუშავდა რეკომენდაციები აღნიშნული საჯარო დაწესებულებებისთვის. იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავით განსაზღვრული ვალდებულების შესრულება საქართველოში მოქმედ ყველა ადმინისტრაციულ ორგანოს თანაბრად მოეთხოვება, ქვემოთ წარმოდგენილია ის ზოგადი ხასიათის რეკომენდაციები, რაც აღნიშნული ცხრა დაწესებულების საქმიანობის დეტალური ანალიზის შედეგად გამოვლენილ საერთო ტენდენციებს ეყრდნობა, და რაც ყველა ამ საჯარო დაწესებულებას თანაბრად ეხება. უფრო მეტიც, შესაძლებელია რეკომენდაციების გავრცობა იმ საჯარო დაწესებულებებზეც, რომლებიც მოცემული კვლევის სამიზნე ჯგუფში არ მოხვდნენ.

## საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება

უნდა აღინიშნოს, რომ კვლევის ფარგლებში გაანალიზებული ცხრა დაწესებულებიდან აჭარის ა/რ ფინანსთა სამინისტრო არის ერთადერთი, რომლის მიერ 2009-2011 წლებში სრულყოფილად გაცემული საჯარო ინფორმაციის მაჩვენებელი მხოლოდ 18%-ს შეადგენს. ხუთ შემთხვევაში სრულყოფილი პასუხების წილი განსაკუთრებით მაღალია - 87%-98%. მიუხედავად იმისა, რომ ეს მონაცემები დამაიმედებელია, უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ყოველ ცალკეულ მოთხოვნაზე პასუხის, განსაკუთრებით კი დროული პასუხის, გაცემა მოითხოვს ადამიანური, ფინანსური და დროის რესურსების ხარჯვას. მაგ. საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ვადების დაცვით გაცემული ინფორმაციის წილი შეადგენს 45%-ს, ხოლო აჭარის ა/რ ფინანსთა სამინისტროს არც ერთ მოთხოვნაზე არ გაუცია პასუხი ვადების დაცვით. მართალია, საჯარო დაწესებულებებში არიან საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი კონკრეტული პირები, თუმცა შიდა ბიუროკრატიის, შემოსული და გასული წერილების გატარების, საჭირო ინფორმაციის მოძიებისა და საბოლოოდ პასუხის გაცემის პროცესი ხშირად ერთ დღეზე მეტ დროს მოითხოვს, და ერთზე მეტი ადამიანის ჩართულობას საჭიროებს. თვალსაჩინოებისთვის, საჯარო სამსახურის ბიურომ 2009 წელს 60 სრული სამუშაო დღე დაკარგა მხოლოდ ქონებრივ დეკლარაციებთან დაკავშირებულ მოთხოვნებზე პასუხის გაცემაზე. სამი თვის - სექტემბრის, ოქტომბრისა და ნოემბრის - განმავლობაში კი თითქმის ყოველ დღე უწევდა ამ საკითხზე შემოსული საჯარო ინფორმაციის მოთხოვნებზე მუშაობა. ამასთან, დათვლილია მხოლოდ უნიკალური დღეების რაოდენობა - მაგ. თუ ერთი მოთხოვნა შევიდა 7 სექტემბერს და პასუხი გაეცა 9 სექტემბერს, ხოლო მეორე შევიდა 8 სექტემბერს და პასუხი გაეცა 9 სექტემბერს, ის დღეები, რომლებიც გადაიფარა (8 და 9 სექტემბერი) მხოლოდ თითო-თითოჯერ იქნა დათვლილი, თუმცა რეალურად ამ დღეებში დატვირთვა უფრო მეტი იქნებოდა. თუ უბრალოდ შევაჯამებთ ყველა მოთხოვნაზე დახარჯულ დღეებს ცალ-ცალკე (კალენდარული დღეების გათვალისწინების გარეშე), ეს მაჩვენებელი ორჯერ და სამჯერ გაიზრდება, რადგან შემთხვევები როდესაც მოკლე პერიოდში ერთზე მეტი მოთხოვნა იყო პასუხგასაცემი, საკმაოდ ხშირია.

| September 2009 | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| Mon | Tue | Wed | Thu | Fri | Sat | Sun | ქონებრივ დეკლარაციებთან დაკავშირებულ მოთხოვნების დამუშავებაზე გამოყენებული დღეები |
| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 0 |
| 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 4 |
| 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 5 |
| 21 | 22 | 23 | 24 | 25 | 26 | 27 | 5 |
| 28 | 29 | 30 | | | | | 3 |
| | | | | | | | 17 |

| October 2009 | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| Mon | Tue | Wed | Thu | Fri | Sat | Sun | ქონებრივ დეკლარაციებთან დაკავშირებულ მოთხოვნების დამუშავებაზე გამოყენებული დღეები |
| | | | 1 | 2 | 3 | 4 | 2 |
| 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 5 |
| 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 3 |
| 19 | 20 | 21 | 22 | 23 | 24 | 25 | 2 |
| 26 | 27 | 28 | 29 | 30 | 31 | | 4 |
| | | | | | | | 16 |

| November 2009 | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| Mon | Tue | Wed | Thu | Fri | Sat | Sun | ქონებრივ დეკლარაციებთან დაკავშირებულ მოთხოვნების დამუშავებაზე გამოყენებული დღეები |
| | | | | | | 1 | 0 |
| 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 2 |
| 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 5 |
| 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 | 5 |
| 23 | 24 | 25 | 26 | 27 | 28 | 29 | 5 |
| 30 | | | | | | | 1 |
| | | | | | | | 18 |

| December 2009 | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| Mon | Tue | Wed | Thu | Fri | Sat | Sun | ქონებრივ დეკლარაციებთან დაკავშირებულ მოთხოვნების დამუშავებაზე გამოყენებული დღეები |
| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 2 |
| 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 1 |
| 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 1 |
| 21 | 22 | 23 | 24 | 25 | 26 | 27 | 0 |
| 28 | 29 | 30 | 31 | | | | 0 |
| | | | | | | | 4 |

| | |
|---|---|
| Sum | 55 |

2010 წლიდან, რაც საჯარო სამსახურის ბიურო გადავიდა ქონებრივი დეკლარაციების ელექტრონულ სისტემაზე, მოთხოვნილი საკითხების რაოდენობა 570-დან (2009 წელს) 149-მდე შემცირდა. ეს არის ერთ-ერთი ყველაზე კარგი მაგალითი იმის, თუ როგორ შეუძლია საჯარო ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებას შეამსუბუქოს საჯარო დაწესებულების საქმიანობა.

აქედან გამომდინარე, სასურველია, საჯარო დაწესებულებებმა პროაქტიულად, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნების მიღებამდე, გაასაჯაროონ ისეთი ინფორმაცია, რომელიც პოტენციურად დიდი ინტერესის და მნიშვნელობის მქონეა საზოგადოებისთვის. კვლევის განმავლობაში ჩატარებული დეტალური ანალიზის შედეგად შესაძლებელია გამოიყოს ინფორმაციის ის ძირითადი კატეგორიები, რომლებიც ყველაზე აქტუალური და მოთხოვნადია აღნიშნული ცხრა დაწესებულების პრაქტიკის შემთხვევაში.

➢ **საჯარო დაწესებულების ფინანსური გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება** - უმეტესწილად, მოთხოვნილი ინფორმაცია ეხება საჯარო დაწესებულების ადმინისტრაციულ ხარჯებს, რისი ცოდნაც აუცილებელია, რათა მოსახლეობა საქმის კურსში იყოს საზოგადოებრივი რესურსების განკარგვის თაობაზე. ასეთი ინფორმაცია ძირითადად მოიცავს შემდეგ კატეგორიებს, თუმცა არ შემოიფარგლება აღნიშნულით:

o **ინფორმაცია ბიუჯეტის შესახებ** (ბიუჯეტის შესრულების ბალანსი, ბიუჯეტში შეტანილი ცვლილებები, არასაბიუჯეტო შემოსავლები და ა.შ.);

o **ინფორმაცია სარეზერვო ფონდების შესახებ** (სარეზერვო ფონდებიდან გამოყოფილი თანხების ოდენობა, გამოყოფილი თანხით დაფინანსებული აქტივობები, სარეზერვო თანხების ხარჯვის ანგარიში, შესაბამისი სამართლებრივი აქტების ასლები და ა.შ.);

o **ინფორმაცია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ** (განხორციელებული შესყიდვების ჩამონათვალი, თითოეულ შესყიდვაზე გახარჯული თანხის ოდენობა, შესყიდვების გეგმები, ინფორმაცია სახელმწიფო შესყიდვებში გამარჯვებულ იურიდიულ პირთა და/ან ინდივიდუალურ მეწარმეთა შესახებ, გაფორმებული ხელშეკრულებების ასლები, ტენდერების შედეგად გაფორმებული ხელშეკრულებების შესრულების ანგარიშები და ა.შ.);

o **ინფორმაცია სატელეკომუნიკაციო ხარჯების შესახებ** (თანამდებობის პირების, სრული სისტემის, სატელეფონო საუბრებზე დახარჯული თანხები, ტელეფონების შესყიდვაზე გაწეული ხარჯები და ა.შ.);

o **ინფორმაცია სამივლინებო ხარჯების შესახებ** (ინფორმაცია ოფიციალური ვიზიტების შესახებ, მივლინებებისთვის გამოყოფილი ხარჯები წლების მიხედვით და ა.შ.);

o **ინფორმაცია ავტოპარკის ხარჯების შესახებ** (ბალანსზე რიცხული ავტომანქანების რაოდენობა, შეძენის თარიღი, ღირებულება, დაფინანსების წყარო, შესყიდვის ფორმა, თანამდებობის პირებზე/ადმინისტრაციის სხვა საჯარო მოსამსახურეებზე რიცხული ავტომანქანების ჩამონათვალი და პერსონალური გადანაწილება, საწვავის ფაქტობრივი ხარჯი, მოხმარებული საწვავის ტიპი, საწვავის ყოველთვიური ზღვრული ლიმიტი, ავტომანქანების მომსახურებაზე ბიუჯეტიდან დახარჯული თანხის ოდენობა, თითოეული შეძენილი ავტომანქანის დაფინანსების, სარგებლობაში არსებული ავტომანქანის წარმომავლობის წყარო და ა.შ.);

o **ინფორმაცია ხელფასების, დანამატებისა და პრემიების შესახებ** (თანამდებობის პირების ხელფასები, დანამატების და პრემიები, თანამშრომლების ხელფასებზე, დანამატებსა და პრემიებზე დახარჯული კვარტალური თანხები, საშტატო ერთეულებზე განსაზღვრული სახელფასო ანაზღაურება, საპრემიო ფონდისთვის განსაზღვრული თანხების რაოდენობა და ა.შ.);

o **ინფორმაცია საჯარო დაწესებულების მფლობელობაში არსებული ობიექტების შესახებ** (ბალანსზე არსებული უძრავი ქონების ჩამონათვალი და ღირებულება, გასხვისებული ობიექტების რაოდენობა, მისამართი, გასხვისების პირობები და დოკუმენტაცია, ინფორმაცია სიმბოლურ ფასად გადაცემული ობიექტების შესახებ, ინფორმაცია გადაცემული ობიექტების განკარგვის, გასხვისების შესახებ და ა.შ.);

o **ინფორმაცია კრედიტორული და დებიტორული ვალის შესახებ** - ვალის წარმოშობის დრო და დაგროვების მიზეზები, შესაბამისი დოკუმენტაციით;

o **სხვადასხვა სახის დანახარჯები** (ინფორმაცია საჩუქრებზე და ოფიციალურ მიღებებზე დახარჯული თანხების შესახებ და ა.შ.).

➢ **ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ** - ხშირად საზოგადოება ინტერესდება ისეთი სტატიკური სახის ინფორმაციით, რომელიც ეხება საჯარო დაწესებულების საქმიანობას. ასეთი ინფორმაციის ვებ-გვერდზე პროაქტიულად განთავსება თავიდან აცილებს დაწესებულებას ზედმეტ მოთხოვნებს ისეთ სტანდარტულ საკითხებზე, როგორიცაა:

o **ინფორმაცია საჯარო დაწესებულებაში დასაქმებული პირების შესახებ** (შტატში და შტატგარეშე მომუშავე პირების საერთო რაოდენობა, თანამშრომლების სია თანამდებობების მიხედვით, დასაქმებულ პირთა საკონტაქტო ინფორმაცია,

ინფორმაცია კადრების შერჩევის წესისა და ჩატარებული კონკურსების შესახებ, ინფორმაცია ანაზღაურებადი შვებულებების შესახებ - თანამდებობის პირთა ვინაობა, შვებულების დრო, ხანგრძლივობა, ანაზღაურების რაოდენობა და ა.შ.);

o **ინფორმაცია საჯარო დაწესებულების დაქვემდებარებაში არსებული სტრუქტურული ერთეულების შესახებ** (სტრუქტურული ერთეულების, სსიპ-ებისა და ააიპების ჩამონათვალი, სტატუსი და მოვალეობები, შესაბამისი სამართლებრივი აქტები, რომლითაც განსაზღვრულია სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები (აქტის დასახელება, გამომცემი ორგანო, გამოცემის თარიღი და ნომერი), საქვეუწყებო დაწესებულებების ჩამონათვალი, მისამართები და ხელმძღვანელი პირების დასახელება, ინფორმაცია დარეგისტრირებული არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირების შესახებ (რაოდენობა, იურიდიული პირების სია, ხელმძღვანელის, მისამართის, ტელეფონის და ვებ-გვერდის ჩათვლით და ა.შ.)

o აქვე ცალკე გამოსაყოფია, თუ რომელი სტრუქტურული ერთეულის ვალდებულებაში შედის სზაკ-ით დადგენილი **საჯარო ინფორმაციის გაცემის ვალდებულება** და აღნიშნული სტრუქტურული ერთეულის საკონტაქტო ინფორმაცია. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირების სახელი და გვარი, საკონტაქტო ინფორმაცია.

➢ **ინფორმაცია საჯარო დაწესებულების პროექტებისა და ღონისძიებების შესახებ -** საზოგადოება ხშირად ინტერესდება მიმდინარე და განხორციელებული პროექტებითა და ღონისძიებებით, რაც თვალსაჩინოს ხდის საჯარო დაწესებულების საქმიანობას და ამ საქმიანობისთვის გამოყოფილი საბიუჯეტო თანხების განკარგვას. სასურველია, საჯარო დაწესებულებამ საკუთარ ოფიციალურ ვებ-გვერდზე განათავსოს დეტალური ინფორმაცია განხორციელებული, მიმდინარე და დაგეგმილი პროექტებისა და ღონისძიებების თაობაზე. კერძოდ, შემდეგი სახის ინფორმაცია:

o **ინფორმაციას საჯარო დაწესებულების მიერ განხორციელებული, მიმდინარე და დაგეგმილი პროექტების შესახებ** (სოციალური, მიზნობრივი, კვლევითი, სამეცნიერო, საგანმანათლებლო, ამა თუ იმ სფეროს განვითარებაზე მიმართული და მისთ., პროექტების ჩამონათვალი, თითოეულ პროექტზე დახარჯული თანხების ოდენობა, პროექტის ფარგლებში შემუშავებული დოკუმენტების ასლები, ინფორმაცია პროექტის შემუშავებისა და დამტკიცების თარიღის შესახებ, მიმდინარე წელს განსახორციელებელი მიზნობრივი პროგრამების შესახებ ინფორმაცია, ინფორმაცია მიმდინარე და დაგეგმილი პროექტების შესახებ, განხორციელებული პროექტების ანგარიშები, პროგრამის დაწყების თარიღი და ა.შ.);

o **ინფორმაცია დაწესებულების მიერ განხორციელებული, მიმდინარე და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ** (განხორციელებული სარეკლამო, კულტურული, საგანანმანათლებლო, სამეცნიერო, სოციალური და სხვა ღონისძიებების ჩამონათვალი, თითოეულ ღონისძიებაზე დახარჯული თანხის რაოდენობა, ღონისძიებებთან დაკავშირებული ხარჯთაღრიცხვის ამსახველი დოკუმენტაციის ქსეროასლები, მიმდინარე ღონისძიებების დაფინანსების წყაროები, შესაბამისი დოკუმენტაციის ქსეროასლები და ა.შ.).

- **სამართლებრივი აქტების შესახებ ინფორმაცია** - საზოგადოება ხშირად ინტერესდება საჯარო დაწესებულების შესახებ არსებული ოფიციალური დოკუმენტაციით, როგორიცაა ბრძანებები, დებულებები, დადგენილებები, განხორციელებული სამუშაოების ამსახველი სამართლებრივი და ფინანსური დოკუმენტები, თანამშრომლობის მემორანდუმები და სხვა იურიდიული მნიშვნელობის მქონე დოკუმენტების ასლები.
- **საჯარო ინფორმაციის მოთხოვნების განახლებადი რეესტრი** - სასურველია, საჯარო დაწესებულებამ ვებ-გვერდზე განათავსოს საჯარო ინფორმაციის რეესტრი - შესული მოთხოვნებისა და გაცემული პასუხების შესახებ ცნობებით, იმ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ჩამონათვალი, რომელიც მოიცავს პასუხს საჯარო ინფორმაციის დაკმაყოფილებაზე ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ, რეკვიზიტებზე მითითებით და ა.შ.  ასეთი ინფორმაციის გამოქვეყნება შეამცირებს ერთ საკითხზე მრავალი ინდივიდუალური მოთხოვნების რაოდენობას, და დაზოგავს საჯარო დაწესებულების რესურსებს.
- **საკონსულტაციო სახის შეკითხვები - ხშირად დასმული კითხვები** - საჯარო დაწესებულებას საკმაოდ ხშირად მიმართავენ არა მხოლოდ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის მიზნით, არამედ საკონსულტაციო სახის შეკითხვებით, როგორიცაა მითითებები ხელშეკრულების გაფორმების შესახებ და ა.შ. უნდა აღინიშნოს, რომ საჯარო დაწესებულება ხშირ შემთხვევაში სრულყოფილად პასუხობს ასეთ კითხვებს. თუმცა, იმისათვის რომ დაიზოგოს საჯარო დაწესებულების მიერ დახარჯული დრო, ადამიანური და ფინანსური რესურსები, სასურველია, ასეთი სახის ინფორმაცია განთავსდეს საიტზე **ხშირად დასმული კითხვების (Frequently Asked Questions - FAQ) სახით**.

## არასრულყოფილი პასუხების თავიდან აცილება

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ საკმაოდ დიდია არასრულყოფილი პასუხების წილი. მაგალითად აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს პასუხების მხოლოდ 18% სრულად შეესაბამება გამოთხოვილ ინფორმაციას. როდესაც საჯარო დაწესებულება სრულად არ პასუხობს მოთხოვნილ საჯარო ინფორმაციას, გაცემული პასუხის შემთხვევაშიც კი ის არასრულყოფილად ითვლება. ამიტომ, სასურველია, საჯარო დაწესებულებამ სრულად უპასუხოს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნას, ხოლო პასუხის არგაცემის შემთხვევაში სათანადოდ დაასაბუთოს უარი.

ასევე საკმაოდ ხშირია ინფორმაციის გაცემის ნაცვლად გადამისამართება ვებ-გვერდებზე, რაც ასევე არ არის სრულყოფილი პასუხი, რადგან საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე მუხლის მიხედვით, „ყველას აქვს უფლება მოითხოვოს საჯარო ინფორმაცია მისი ფიზიკური ფორმისა და შენახვის მდგომარეობის მიუხედავად და აირჩიოს საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმა“. სასურველია, საჯარო დაწესებულებამ იმ ფორმით გასცეს საჯარო ინფორმაცია, რა ფორმითაც არის ის მოთხოვნილი, ხოლო თუ ამის შესაძლებლობა არ არსებობს, სათანადოდ დაასაბუთოს საკუთარი ქმედება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროაქტიული გამოქვეყნება არ უქმნის საჯარო დაწესებულებას იმის საფუძველს, რომ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნებს უპასუხოს ვებ-გვერდზე გადამისამართებით. ამ შემთხვევაში პროაქტიული გამოქვეყნება მხოლოდ და მხოლოდ ამცირებს პოტენციური მოთხოვნების რიცხვს, რადგან საჯარო ინფორმაციით დაინტერესებული პირები შემდგომში ჯერ ვებ-გვერდს შეამოწმებენ, და მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოითხოვენ კონკრეტულ ინფორმაციას, თუ ის ვებ-გვერდზე არ იქნება განთავსებული.

## საჯარო ინფორმაციის გაცემა ვადების დაცვით

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლის მიხედვით, „საჯარო დაწესებულება ვალდებულია გასცეს საჯარო ინფორმაცია დაუყოვნებლივ ან არა უგვიანეს 10 დღისა, თუ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე პასუხის გაცემა მოითხოვს:

ა) სხვა დასახლებულ პუნქტში არსებული მისი სტრუქტურული ქვედანაყოფიდან ან სხვა საჯარო დაწესებულებიდან ინფორმაციის მოძიებასა და დამუშავებას;

ბ) მნიშვნელოვანი მოცულობის ერთმანეთთან დაუკავშირებელი ცალკეული დოკუმენტების მოძიებასა და დამუშავებას;

გ) სხვა დასახლებულ პუნქტში არსებულ მის სტრუქტურულ ქვედანაყოფთან ან სხვა საჯარო დაწესებულებასთან კონსულტაციას.

თუ საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის საჭიროა 10-დღიანი ვადა, საჯარო დაწესებულება ვალდებულია მოთხოვნისთანავე აცნობოს ამის შესახებ განმცხადებელს."

საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ გაცემული პასუხების 55%-ში საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლით გათვალისწინებული 10 დღიანი ვადა დარღვეულია. სასურველია, საჯარო ინფორმაცია დაუყოვნებლივ, ან უკიდურეს შემთხვევაში 10 დღიანი ვადის დაცვით გაიცეს.

## იგნორირებული და უარყოფილი საკითხები

ისეთი შემთხვევები, როდესაც საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის განცხადებაში ნახსენები საკითხი სრულიად უგულებელყოფილია საჯარო დაწესებულების მიერ, მერყეობს პასუხების მთლიანი რაოდენობის 1-8%-მდე. თუმცა ორ შემთხვევაში ასეთი პასუხების რაოდენობა საგანგაშოდ მაღალია - აჭარის მთავრობის მიერ გაცემული პასუხების 20%-ია იგნორირებული, ხოლო აჭარის ა/რ ფინანსთა სამინისტროს შემთხვევაში ასეთი პასუხების წილი 58%-ს აღწევს. სასურველია, საჯარო დაწესებულება ყურადღებით გაეცნოს შესულ მოთხოვნებს და ყველა პუნქტს ზედმიწევნით უპასუხოს. იმ შემთხვევაში კი, თუ საჯარო ინფორმაციას ვერ გასცემს, უარი უნდა იყოს დასაბუთებული - შესაბამის სამართლებრივ ნორმაზე მითითებით.